

# საქართველოს სამართლებრივი

№ 24.

10 ივლისი, 1922 წელი.

№ 24.

ამ ნომერში 32 გვერდია.

## ლენინის უაგდავ.

ის წავიდა, დიქტატორი რუსეთის რევოლუციის სისხლიანი ეპოქის, ის გადასცდა გონებას, რადგან გადასცდა გონიერების ყოველივე საზღვარს მისი ნამოქმედარი. ექიმები იკვლევდნენ მისი სნეულების პათოლოგიურ მიზეზებს და შედეგებს. ჩვენ კი გვიანტერესებს, უფრო ისტორიულ-ფსიხოლოგიური მიზეზი და შედეგები.

რა შიამა ეს მიზეზი და ეს შედეგები?

ლენინმა შემართა ხელი განუხორციელებელის განხორციელებას, შეუძლებელის რეალიზაციას, მან შემართა ხელი იმას, რაც დიადი იყო თავის მიზნებით, მაგრამ უჯოჯოხეთისი აღმოჩნდა თავის სინამდვილით; და ისტორიის ამ საშინელ წინააღმდეგობათა ზღარბთა დახია მისი გონების ქსოვილები, აშალა და არია მისი გონება. მან ვერ გადაჭრა ის, რაც ბებრუხანა ისტორიის წინააღმდეგი იყო და თვითონ გადაიჭრა, გადაიჩეხა სიგიჟის მორევში.

ის განეშორა გონიერების საზღვრებს და ამით ის დაემსგავსა, თუ გნებავთ, სავსებით იმ ეპოქას, რომლის წარმომადგენელიც ის არის:

მართლაც ისტორიულ ტალღის მწვერვალზე

იჯდა ის იმ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება სისხლიანი სამოქალაქო ომებით, კომუნისტური კოშმარით, თავზარდამცემი ტერორით, უსაშინელესი შიმშილობით, ცხოვრების სრული გავერანებით... და ეს არის ეპოქა გიჟური თავდავიწყების, საერთო ჯაჭვაყვეტილობის, საყოველთაო თავაშვების, როცა ისტორიულ აპარტენზე გამოვიდა სამოქმედოთ, უკეთ დასანგრევათ, ცველა ველური ინსტიქტები მონობაში ჩაბერებულ ხალხის, როცა აბობოქრდა საუკუნოებით დაგუბებული ბოდმა და ნაღველი, სიველურე და უვიცობა, შური და ბოროტება, სიძულვილი და მტრობა, ერთი სიტყვით აბობოქრდა რუსეთის ისტორიული სტიქია, რომლის აწიურმა საშინელებამ სძლია ამ ყამათ ვეროპიდან შემოტანილ და შედარებით ვიწრო წრეში გავრცელებულ ვეროპიულ კულტურას. და ამ სტიქიამ წამლევავა, გადარეულმა, როგორც ნაპირს გადას ულიმდინარე, შეუბრალებელმა, თავშეუკავებელმა შემუსრა ყოველივე და თავის დალი დაასვა მთელ ამ ლენინის ხანას, რომელსაც მიმზიდველი სახელი ქონდა «მუშათა და გლეხთა დიქტატურის».

და ამ გიჟური ტალღის უმაღლეს კონცხზე იჯდა ის, ლენინი, ეს ჭკვიანი გიჟი, ეს ნიჭიერი გადარეული, ენერგიული შემმუსვრელი, ეს განასახიერება რუსეთის ისტორიულ სტიქიის...

და იგი ამ სტიქიასთან ერთათ დაეცა. ამ სტი-

განაკვეთი

ქიის ისტორიულ განაჩენს იგი პირველი დემოკრატია: და ამაშია ისტორიის მწარე და შეუდრეკელი განაჩენი იმის შესახებ, რაც იყო იგი და რაც მოიმოქმედა მან.

ეს არის სიკვდილი იმ საქმის, რომელსაც იგი მეთაურობდა. რუსეთის დიქტატურა იყო დიქტატურა მუშებსა და გლეხებში კომუნისტურ პარტიის, ხოლო პარტიაში ლენინის. და ბოლოს და ბოლოს ეს პიროვნება შეადგენდა მის სულსა და გულს. ამიტომ მის გამოცლით ამ დიქტატურას ეკარგება თავისი მასულდგმულებელი.

პიროვნებას ჩვენ არ ვაძლევთ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ იმ მხრივ, რომ იგი კი არ ქმნის ისტორიულ ეპოქას, არამედ თვით ეპოქა ქმნის და ატივიტივებს მას წინა რიგებში. ლენინიც ამ რუსულმა სტიქიამ წამოაყენა და მანვე შთანთქა დღეს.

ამაშია მნიშვნელობა მისი ასპარეზიდან წასვლის. იგი გვიჩვენებს დასასრულის მოახლოებას.

რასაკვირველია მისი პიროვნების ბედი არ სწყვეტს ბედს რუსეთის დიდი რევოლიუციისას, არც საერთოთ რუსეთის სახელმწიფოსას. არა, ამ საკითხებს სხვა უფრო ძლიერი ძალები განაგებენ და ფლობენ. ამ საკითხების გარეშემო მრავალი სხვა მძლავრი ინტერესები მუშაობენ. მაგრამ ერთი ცხადია: ლენინის წასვლით ინგრევა დიქტატურა პიროვნების, და მას თან მიყვება რკინის აუცილებლობით დიქტატურა პარტიის. ლენინს არ ყავს მემკვიდრეები, და არც შეიძლება ყავდეს. მას ცავს მხოლოდ ქირისუფლები, რომელნიც გაასვენებენ მასთან ერთათ მის პარტიას და დიქტატურას. ბოლშევიზმი საბოლოოთ განწირულია ცველა თავის ატრიბუტებით.


უკანასკნელ დროის ცველა მნიშვნელოვანი მოვლენები ამის უტყუარი მომასწავებელია. ესერების პროცესი, რომელმაც ააღელვა მთელი რუსეთის და მსოფლიო მუშათა კლასი, ააღელვა მთელი პროგრესული საზოგადოება, სამღვდლოების დევნა, რომელიც სარწმუნოებით გატაცებულ რუსეთში არა ნაკლებ აღელვებს ფართე მასებს, ეკონომიურ სფეროში სრული გაკოტრება და ევროპის წინაშე დაჩოქება: სამხედრო მოქმედებებში—სრული სისუსტე და უსუსურება, აღმოსავლეთში გავლენის დაკარგვა—სპარსეთში, ოსმალეთში, თურ-

ქესტანში თავის საწინააღმდეგო მოძრაობის გამოწვევა, დასავლეთში საფრთხობელას როლიდან სათამაშო საგნის როლზე გადასვლა—ერთი სიტყვით შინ და გარეთ სრული დაცემა—ი სურათი წინააღმდეგობით სავსე რუსეთის ბოლშევიზმის მეფობის. რამდენათ არ შეეფერება ცველა ამას კომუნისტურ ხმა მაღალი ცვირილი, უკიდურესი ლოზუნგების კვლავ ქუჩაზე გამოტანა, იარაღის უშნო ყდარუნი, ცველა ის, რაც მოასწავებს მეორე უკიდურესობას, თავგანწირულ თავდაუქერლობას და რაც ქმნის საერთო პოლიტიკაში უდიდეს განხეთქილებას. ლენინი კიდევ არიგებდა ერთმანეთში უდიდეს დათმობებს და უმცვირალეს ლოზუნგებს. ის იხვედა და წინ წასვლას ქადაგებდა. მას შემდეგ ეს ექსტრემისტობა, ეს უკიდურესობანი მარჯვნივ და მარცხნივ უფრო თავშეუკავებლათ გაექანებინა და დიქტატურას ნანგრევებათ აქცევინ. ისტორიული განაჩენი უკვე დაწერილია. ორივე შემთხვევაში სისხლში შობილი ბოლშევიკური დიქტატურა ვერ იარსებებს გარეშე სისხლისა და ძალადობისა. ამიტომაც რომ იგი დღეს, თავის დაუსუსტების ხანაში, კვლავ ასე მწარეთ იკბინება, კვლავ შეურიგებლობის გზას ადგება. და ამ შეურიგებლობითვე გახდება იგი აუცილებელი მსავერპლი იმავე სისხლის და მასში ჩაიღრჩობა. მობრუნება, მორიგება, «მოქცევა-ნება» ამ ხალხის ფუჭი ოცნებაა. მათ ხმლით გაკაფეს თავის სამოქმედო ველი და ხმლის ქვეშ დაეცემიან. ისტორიამ მათ მისცა ლენინი და მანვე წაართვა. ისტორიამ მათ მისცა ხანა ბატონობის და აკუთვნებს დღეს გაქრობას...

მძიმეა ეს პროცესი სისწლიანი ეპოქის ლიკვიდაციის, უმტკივნეულესი იქნება ის ცველა-სათვის, ვისაც სწვდა უღმობელი ბრჯალევი მოსკოვის სატრაპიის. და მით მეტი შრომა, დაკვირვება და გონიერი ბებობაა საქირო ახალი ხანის წარმოშობისათვის, რომ ტკივილები ხალხს შეუმსუბუქდეს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც ტლანქმა იარაღმა გადააბა მოსკოვის კომისართა თვითმპკრობელობას, მისი დაცემისას კვლავ უნდა აღსდგეს თავის ქართული სახით, კვლავ დეზბრუნდეს თავის ბუნებრივ კალაპოტს, თავის დემოკრატიულ გზას და მეთოდებს. ამისთვის საქიროა ენერგიული მუშაობა და ერის სადარაჯოზე ფხიწლათ დგომა. განსაკუთრებით ბოლშევიზმის ლიკვიდაციის ხანაში.

ზარი რეკს.





## 26 მაისის გავლ.

ერის ცხოვრებაში ზოგიერთ ისტორიულ დატას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე შეიარაღებულ ბათალიონებს, რადგან იგი აერთებს მას ფსიხოლოგიურად და აკაჟებს მის ნების ყოფას, საიდანაც ბათალიონები უფრო მსწრაფლ იზრდებიან, ვიდრე დრაკონის დათესილ კბილებიდან.

26 მაისი, ქართველი ერის ცხოვრებაში ერთი ისეთი დატაა, რომელმაც თანდათან, 1918-დან დაწყებული, შეაერთა და შეადულა მთელი ქართველი ერის გული და ნების-ყოფა ისე მჭიდროდ, როგორც იშვიათად ყოფილა მის ათასწლოვან ჭირ-ნახულ ისტორიაში. თუ პირველი 26 მაისობა იყო დღე საერთო აღტაცებული ზეიმისა მტარვალთაგან განთავისუფლების აღსანიშნავად, — უკანასკნელი აღნიშნავდა არა ნაკლებ ღრმა გლოვას ამ თავისუფლების გათელვანად იმავე მტარვალისაგან. საერთო სიხარული და საერთო ტანჯვა თანასწორი დულაბია ერის შეგნებისა და ნებისყოფისათვის და ამ მხრივ, 1922 წლის 26 მაისის «გლოვა», გამოხატული დემონსტრაციებსა, გაფიცვასა და ეროვნული დროშების აფრიალებას; პოლიტიკური პარტიების საერთო გამოსვლაში და მთელი ხალხის აჯანყებული სულის და მტრისადმი სიძულვილის აღტყინებაში, — უდიდესი საწინდარია ჩვენი ცხოველმყოფელი ერთობისა.

ჩვენს ეროვნულ მისწრაფებას თანაგრძნობით ეკიდება ევროპისა და ამერიკის ხალხიც, ბურჟუაზიაც, მთავრობებიც, მაგრამ ტყუილია იმედი, რომ ღმერთი გვიშველის, თუ ჩვენ თითონ არ გავანძირეთ ხელი. ამიტომ და 26 მაისის და მის წინა გამოსვლებს რეალურად უფრო მეტი წონა და შედეგები აქვს, ვიდრე მრავალრიცხვოვან რეზოლიუციებსა და დადგენილებებს ინტერნაციონალებისა, მუშათა პარტიებისა და სახელმწიფოთა კონფერენციებისგან გამოტანილს. «ხელი გაიქნიე და ღმერთიც გიშველის», ეუბნება ქართული ანდაზა წარღვნასთან მებრძოლ ადამიანსა და ეს ხალხური სიბრძნე არასოდეს არ ყოფილა ისეთი მკვეთრი, როგორც დღესაა იგი. და ქართველი ხალხი, მუდამ მებრძოლი და მოსიყვარულე თავის თავისუფალი ბედისა, ისევე მედგრად და ერთსულოვნად,

გულგაუტეხლად შესტყორცნის ტალღებს დღეს უკვე მოქანავე მტერს. და თუ თითქმის უიმედოდ მეცხრამეტე საუკუნემ ვერ გასტეხა ქართველობა და, პოლიტიკურ პარტიათა ქიშპობის მიუხედავით—მეოცე საუკუნის დასაწყისში, — ჩვენ მივადწიეთ დამოუკიდებლობას, დღეს, როცა მთელი საქართველო გაკაჟებულია ერთ მისწრაფებაში, როცა მას აქვს იურიდიული და მორალური ქომაგობა მთელი ქვეყნიერობისა, — ეს უდელი დარწმუნებული ვართ დიდხანს არ შერჩება საქართველოს ხალხს კისერზე. ამ დროისათვის მზადებაა საჭირო და ჩვენს ერს, ქართველობას, ტრადიციულად, საუკეთესო მეთოდი აურჩევია მზადებისა: ეს არის განუწყვეტელი გაკაჟება ყოველ დღიურათ თავის ნებისყოფის აშკარა გამომჟღავნებით მკლავის და სულის განმტკიცებით და მებრძოლთ საჭირო მომენტში იგი იმ ადგილას აღიმართება, სადაც ამას მისი ინტერესი მოითხოვს.

საზღვარ-გარეთ «გამოქცეულთა» აღტაცებული თანაგრძნობით ბრძოლაში, გისურვებთ სრულ გამარჯვებას, რომლის მოახლოვება დღითი-დღე ჰფანტავს ჩამობარდულულ შავს ღრუბლებს.

რემა.

## 26 მაისის აღნიშვნა.

წითელი არმიის მიერ დაპყრობილმა საქართველომ, მიუხედავთ ჩეკის სასტიკი რეპრესიებისა, დამოუკიდებლობის დღე—26 მაისი მაინც აღინიშნა. 22 და 23 მაისის უკვე მთელმა საქართველომ და მასთან ერთათ ბოლშევიკებმაც იცოდნენ, რომ 24, 25 და 26 მაისის მებრძოლა ყველგან დამპყრობელთა საწინააღმდეგო დემონსტრაციები და გამოსვლები, ამიტომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე შეუდგა მზადებას: ბოლშევიკებმა მთელი თავისი ძალები დგახვე დააყენეს, 3-4 დღით ადრე შეუდგნ ჯვალა არა «საიმედო პირების» დატუსაღებას, წითელ არმიას ბრძანება მისცეს «მზათ ყოფილიყვენ ომისთვის», ხოლო ქართულ ლაშქარს, როგორც არა საიმედოს, იარაღი ჩამოართვის და ეაზარმებში ჩაკეტეს. თფილისში ქუჩებში გამოიყვანეს ჯავსნოსანი ავტომობილები, ხოლო ჰაეროპლანები მთელი დღეები ქალაქს დასტრიალებდნ თავზე, რკინის გზებზე კი ჯავსნო-

F-11814



სანი მატარებლები მოუსვენრათ დასრიალებდნენ. მეორეს მხრით ყველა ანტიბოლშევიკურმა პარტიებმა მწოდებები გამოსცეს, სადაც ისინი აღნიშნავდნენ დამპყრობელთა ძალმომრეობას და მოუწოდებდნენ ყველას გამოსულიყვენ ქუჩებში უიარაღოთ, ეროვნული დროშებით. მოწოდება გამოსცა ადგილობრივმა რუსობამაც, რომელშიც ისინი ბოლშევიკებისა და წითელ არმიის მოქმედებას გმობდნენ და ქართველებთან ერთად მოითხოვდნენ ოკუპანტებისაგან საქართველოს განთავისუფლებას.

24 მაისიდან მთელ საქართველოში მართლაც დაიწყო მანიფესტაციები და არ დარჩენილა ერთი კუთხეც, სადაც ამა თუ იმ სახით არ აღენიშნოთ იგი. თფილისში დემონსტრაცია მოხდა სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ერევნის მოედანზე, ვერის დაღმართზე, სალდათის ბაზარზე, მეტეხის ციხესთან და სხვაგან. ჩეკისტები და კურსანტები სასტიკათ სცემდნენ ხალხს, არ ინდობდნენ არც მოხუცსა და არც ბავშვს; მუშაობა შეწყდა რკინის გზის სახელოსნოებში, ქარხნებში, ფაბრიკებში და თვით სახელმწიფო დაწესებულებებშიც. საგარეო საქმეთა კომისარიატში მოსამსახურე ქალებს ჩეკისტები ადგენ თავზე და ისე ამუშავებდნენ. ეკლესიებში მილიციონერები ჩააგენეს და წარების რეკა აუკრძალეს; რუსის ეკლესიის მღვდელს დაქვრივითაც დაემუქრენ. იჭრდნენ ყველას ვინც კი მოხვდებოდათ, მაგრამ დღით ქუჩაში გატარებას ვერ ბედავდნენ და ნაშუალამებს მიყავდათ ასობით ჩეკაში და ციხეში. დაქვრივებში ბევრია მძიმეთ ნაცემი, მათ შორის ქალები და ბავშვებიც.

ასეთივე ხასიათი ქონდა დემონსტრაციებს სხვა ქალაქებშიც. ბათუმში დემონსტრატებმა ეროვნული დროშა ააფრიალეს ქალაქის თვითმართველობის შენობაზე, დაიხურა მაღაზიები, შეწყდა მუშაობა ქარხნებში და სხვა დაწესებულებებში. ბოლშევიკებმა ნურიის მოედანზე სროლა აუტეხეს დემონსტრატებს, გამოიყვანეს ცეცხლის მქობელი რაზმიც.

ქუთაისში შუადღეზე ქალაქის ბაღში გაიმართა მიტინგი და გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც მოითხოვდნენ რუსის ჯარის გაყვანას. ქალაქში ყოველგვარი მაჯისცემა შეწყვეტილიყო, არ მუშაობდნენ მეეტლებიც კი.


სოფლებში ყველგან გაიმართა მიტინგები, ეკლესიებზე გამოვიდნენ შავი დეკორატიული დროშები და იცო წარების რეკა. ბევრგან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი მიიმაღნენ. ასე მოხდა მაგალითად ქართლსა და კახეთში. გურიაში სოფ. ფიჩხის ჯვარში გაიმართა რამდენიმე საზოგადოების კრება, იგი დაახლოვებით 7 ათასი კაცისგან შესდგებოდა. მას უცებ ალცა შემოარტყეს ჩეკისტებმა და შეიარაღებულმა კომუნისტებმა. კომუნისტმა ჯაშუმა ხალხში გადაისროლა ცუმბარა, რის შემდეგ ჩეკისტებმა თოფებიდანაც ასტეხეს სროლა, განსაკუთრებით თავგამოდებით ისროდა მასწავლებელი შალვა ლომთათიძე და ვილაც კოპლატაძე. ხალხიდან სროლით არავის არ უკასუხებია, რადგან პარტიებმა წინასწარ გააფრთხილეს ხალხი, არავითარ შემთხვევაში იარაღისათვის არ მიემართათ და ისინიც სასტიკათ იცავდნენ დისციპლინას. მიუხედავად ამისა, მიტინგი არ დაიშალა მანამ, სანამ შესადერისი რეზულიუცია არ მიიღო. თავმჯდომარე მხოლოდ მას შემდეგ ჩამოვიდა ტრიბუნიდან, რა რომ იგი ტყვეით ცბაში დაიჭრა. სროლის დროს აქ მოკვდა 2 ქალი და 2 ბავშვი, დაიჭრა კი სამოცამდის.

ასეთივე ამბებს ქონდა ადგილი გურიის სხვა საზოგადოებაშიდაც. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ლანჩხუთში და ხიდისთავში. აქ იცო სროლა და მოცვა მსხვრეკლი.

დემონსტრაციამ მწვავე ხასიათი მიიღო სამტრედიისშიც. აქ დემონსტრატებსა და კომუნისტებს შორის მოხდა შეტაკება. კომუნისტებმა არ დაინდვეს უიარაღო ხალხი და რამდენიმე პირი კიდევ იმსხვრეკლეს.

დაბა ბანძაში (სამეგრელო) ადმინისტრაცია დაერია უიარაღო ხალხს და სცემა. მძიმეთ გალახულია ერთი 7 წლის ბავშვი.

ქართლში და მთელ კახეთში სამი დღის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლება არ სჩანდა. ბოლშევიკების ასეთმა სისატიკემ ხალხი კიდევ უფრო გააბრაზა, დიდი და პატარა წყევლა-კრულით იხსენიებს მათ, ვინც ისინი საქართველოში მოიგვანა.





# გ ა ა გ ა.

პოლანდიის ამ ქალაქში გრძელდება ის, რაც გენუაში დაიწყო: ბოლშევიკებთან დაუსრულებელი ლაპარაკი, უნაყოფო და უშედეგო იმ მიზნებისთვის, რომელსაც ისახავს.

მორიგება ბოლშევიკებთან! მოზინაურება კომუნისტების, რომელთაც უდაბურ ტყეთ აქციეს მთელი რუსეთი და ველურებათ მისი მცხოვრებლები! კულტურულ ქვეყანათა რიცხვში შეტანა ამ ხალხის, რომელსაც კველანზე ჰკვიან კაცათ—გიჟი სავდა მიჩნეული, გიჟი-დიქტატორი და გადარეული დამანგრეველი.

განა ეს შესაძლებელია?

და ამაზე არც იწუხებს ვინმე თავს. ევროპის დიდ სახელმწიფოებს აინტერესებს არა რუსეთის აღდგენა—არამედ თავის ქვეყნის მდგომარეობის გამოკეთება. ეკონომიური დეპრესიის რკალიდან გამოსვლა, ყოველ შემთხვევაში დამშეული და უმუშევრათ დარჩენილი მილიონებისთვის აშკარათ დანახება, რომ მათზე ზრუნავენ, ფოჩიხობენ, რაღაცას აკეთებენ მათთვის. ეს საარჩევნო ფანდია უფრო, ვინემ რეალური საქმე, მაგრამ ამასაც ფასი აქვს დღეს. და აი გენუს დიპლომატების ნაკვალთ გააგის ექსპერტები შემოუხსდენ მაგიდას და დიდის გულმოდგინებით არკვევენ ღრმა და თავსატეხ საკითხებს.

სამი დიდი პრობლემა დგას მათ წინაშე: საკითხი ვალის, სესხის და გარანტიების. ბოლშევიკებს ამათში აინტერესებს მხოლოდ სესხი, ხელში მიცემული ნაღდ ოქროთ კრემლის კომისართა საქიროების დასაკმაყოფილებლათ. ევროპას აინტერესებს გარანტიები ე. ი. უფრო სწორათ რომ ვთქვათ, გამოსარჩენი, რომელსაც წარმოადგენს რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე, განსაკუთრებით ნავთი, და მისი ექსპლოატაციის უზრუნველყოფა ყოველივე ხიფათისაგან, როგორცაა კონფისკაცია, რეკვიზიცია, ნაციონალიზაცია და სხვ.

ბოლშევიკები უარს არ არიან რუსეთი ნაპრობით და ბითუმათ გაყიდონ მოკავშირე რესპუბლიკების ზედმიყოლებით, მაგრამ გარანტიების საკითხში ვერ იჩენენ საკმაო დათმობის უნარს. მათი დათმობის რადიუსი განიზომება სესხის სიდიდით, ბევრს მისცემენ—მეტს დათმობენ. მაგრამ მინც არის ობიექტიურათ და

თუ გნებავთ სუბიექტიურათაც ისეთი სახელგანთა დათმობის, რომლის იქით კომუნისტი, თუნდ მოსკოვის შკოლისა, ვედარ წავა, არის დათმობა, რომლის იქით იწყება თვით მოსკოვის დღევანდელ რეჟიმის ძირის გამოთხრა და თვით კრემლის დიქტატურის დასამარება. ასეთი იქნებოდა მაგ. კაპიტულიაცია საკუთრების საკითხში და ხელახლა შექმნა მტკიცე ბურჟუაზიის, რომლის დანგრევაში გამოიხატა მთელი ბოლშევიკური «შემოქმედება». უკვე «ნებმა» შექმნა ბურჟუაზიის ისეთი ტალღა რუსეთში, რომ ბევრი კომუნისტი თმასა და წვერს იგლეჯს მის წინააღმდეგ.

და აი აქ მარხია ტრაგედია მოსკოვის. მაქსიმუმი მისი დათმობების, რომელიც კი შიძლება მათი კომუნისტური აღმატებულების თვითარსებობის დაცვით—დიდათ დაშორებულია ევროპიელთა იმ მინიმუმზე, რომლის გარეშე კაპიტალს ნორმალური მუშაობა არ შეუძლია.

ეს აშკარა გახდა გენუაში. და გააგაში მას ვერაინ გამოასწორებს, ამ ობიექტიურ აუცილებლობას ექსპერტების ცოდნა და გამოცდილება ვერ შეცვლის, ვერ გადაახტება. ამ მხრივ დიდი იმედები არც აქვს ვინმეს.

პირიქით იმ მცირე ცნობებიდან, რომელსაც ასე ძუნწათ იძლევა პრესა, სჩანს, რომ ერთი მხრით რუსეთი არ ცდილობს ევროპის სახელმწიფოებთან კოლექტიურ მოლაპარაკებას. მას ურჩევნია—თვითთულ სახელმწიფოსთან ცალცალკე საუბარი, თვითთულისთვის კონკრეტული მსუქანი ლუკმის დაპირება და ასე თავის ორბიტაში ჩათრევა.

ევროპის ზოგი სახელმწიფოებიც არ არიან, სჩანს, წინააღმდეგი ასეთ სეპარატიულ მოლაპარაკების. ვაჭრობა პირისპირია... აი რუსეთის მსუქანი ნაწილები და აი მუშტარი: აირჩივ და იყიდვ: საქმე საფასურშია.

აი ვაჭრული სიმსუნაგე—ახალი სიმდიდრეთა ხელში ჩაგდების გაღვიძებული მადა—მართლაც იჩენს თავს გააგაში. ეს ხდება, რა საკვირველია, არა კომისიების სხდომებზე, არამედ სასტუმროებში, კერძო ბინაზე, სადაც კაპიტალისტთა წრეები—განსაკუთრებით იტალიის და ინგლისის, ცდილობენ უფლება მოიპოვონ ექსპლოატაციის, იციდონ და შეიძინონ მადნიანი ადგილები, ხოლო დამუშავების, ექს-

კლავატაციის დრო და ამინდი, იციან, დაუდგებათ ადრე თუ გვიან.

და ამ მხრივ გააგამ შეიძლება კიდევ გამოატყვერინოს ახალი მახინციები კაპიტალის და მათი დამცველი დიპლომატიის. ეჭვი არაა, ცდა იმის რაც ჩაეფუშათ გენუაში—ნავთის კონცესიების ხელში ჩაგდება (ინგლისი) და უკრაინის «მშვიდობიანი დაპყრობა» (იტალია), აქ იქნება განმეორებული. დღეს უკვე სწარმოებს კულინებში საამისო მოლაპარაკებანი. იტალია, რომელსაც პირველი ხელშეკრულება მოსკოვმა თავზე გადაახია, დაბეჯითებით ამბობენ, მეორეს ამზადებს, რომელიც მოსკოვისთვის უფრო მისაღები იქნებაო. რამდენათ შესძლებენ ამას, დაგვანახვებს ახლო მომავალი. «შელის» საზოგადოებაც არაა უარს კავკასიის ნავთის ბატონ პატრონი გახდეს. მისი წარმომადგენელიც გააგაში აგრძელებს გენუაში დაწყებულს. მაგრამ ეს ვაჭრები ტყვილა ანგარიშობენ უიმათოთ, ვინც ამ ნავთის ნამდვილი, ბუნებრივი პატრონია: უკავკასიისერებოთ, მათ დაუკითხვათ მიღებულ ნავთს ვეროპის ბაზარი ვერ იხილავს. ამისთვის თვით ეს ერები იზრუნებენ.

ჯერ-ჯერობით კი ამ ვაჭრობის მოყურადე გააგის «წავის სასახლე», სადაც თავი მოუყრია 24 სახელმწიფოს მცოდნე პირებს, ნელა, ზანტათ, დარბაისლურათ არკვევს და ზომავს საკითხებს, რომელთაც არც ძირი აქვს, არც საფუძველი.

ამ მოლაპარაკების ხასიათი მეტათ თავისებურია. ლიტვინოვი, საბჭოთა წარმომადგენელი აქ უფრო რიხით და თავდაუშერლათ ლაპარაკობს, ვინემ გენუაში. პირველათ ვილაპარაკოთ სესხზე, თუ რის მოცემა შეგიძლიათ, ამბობს ის, ხოლო ვინ მოგვცემს, მთავრობა, თუ ფინანსიური წრეები, ეს ჩვენთვის სულ ერთია, ოღონდ ფული უნდა გადაიდვას მთავრობის ხელში. როცა ექსპერტები ეკითხებიან, ვალის გადახდის გარანტიაზე, ის თამამათ მიუგებს: პირველი გარანტია იქნება თვით მთავრობები იმ ქვეყნის, რომელიც სესხს მოგვცემს, ამ უკანასკნელს კი ჩვენ უზრუნველვყოფთ კონცესიებით

და სადამოყენო შემოსავლით. მაგრამ არც ფინანსიურ კონტროლს, არც საანკეტო კომისიას ჩვენ არ მივიღებთ რუსეთში. მესაკუთრეთა უფლებაზე იგივე ლიტვინოვი მკაფიოთ აცხადებს: ძველ მესაკუთრეებს ჩვენ ვერაფერს დავუბრუნებთ, მათ მხოლოდ უფლება ექნებათ ახალ წარმოებაში მონაწილეობის იჯარის უფლებებით. კერძო საკუთრება ჩვენ აღვადგინეთ იმის მიხედვით, თუ რას მოითხოვდა საბჭოთა რესპუბლიკის ინტერესები. და აქ იგი აცნობს მსმენელთ უკანასკნელ დეკრეტებს.

ექსპერტები, რომელნიც ასეთ პასუხისგან, რასაკვირველია, დაკმაყოფილებული არ არიან, მაინც განაგრძობენ საუბარს, თუმცა აქვე აცხადებენ, ამ პირობებში მორიგება ყოვლად შეუძლებელიაო.

უთქმელათაც ცხადია, ასეთ პირობებს ვერავითარი კაპიტალი ვერ მიიღებს. მაგრამ, როგორც საქმეში ჩახედული გაზეთები ირწმუნებიან, თულ ლაპარაკი გრძელდება, ეს იმიტომ, რომ კომისიის გარეშე ხდება უფრო ხელსაყრელი ვაჭრობა რუსეთის სიმდიდრეთა შესახებ. ასე რომ აქ, სცენაზე ნათამაშევი შეურიგებლობა ქარწყლდება, ქრება კერძო მოლაპარაკების დროს.

მაგრამ ფული, რომელიც კომისრებს ასე სჭირდებათ, ვეჭვობ, ამ მოლაპარაკებიდანაც გამოვიდეს. ამბობენ, რომ შეურიგებელი ბელგიელები და ფრანგებიც კი კერძო მოლაპარაკებას აგრე რიგათ არ გაურბიანო. მაგრამ თან უმატებენ, ეს აიხსნება იმით, რომ ბოლშევიკების დღეები მაინც დათვლილათ მიაჩნიათ, მას ვერავითარი ხლოროფორმის შემხაპუნება ვერ გამოაბრუნებს. ხოლო კონცესიების მისაღებათ უფრო ხელსაყრელ პირობებს ძნელათ თუ წარმოიდგენს კაცი. ასე რომ ახლა იწყება ციებ-ციხლება კონცესიების მიღების, რომელსაც შემდეგ ბოლშევიკების მემკვიდრეებს ასე თუ ისე აცნობინებენ.

აი ამაშია მთელი საიდუმლოება გააგის მოლაპარაკების, ლიტვინოვის თავგასულობის და ექსპერტთა მოთმინების...



## გომპერსი ამქდაგნებს ბოლშევიკების ზღანს მუშების წინააღმდეგ.

(„ნიუ-იორკ ჰერალდ“, 9 მაისი 22 წ.)

**ვაშინგტონი, ორშაბათი.** ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ სამუელ გომპერსმა ახალი ყუმბარა ისროლა საბჭოთა მთავრობას და მათ მიერ ნავთის გაცემის წინადადების წინააღმდეგ. დღეს აქ გამოქვეყნებულ სიტყვაში ის ბრალს დებს ბოლშევიკებს, რომ მათ გადაადგდეს საქართველოს მუშური მთავრობა იმ მიზნით, რომ გაეადვილებიათ საერთაშორისო კაპიტალისტებისთვის ნავთის წყაროების აღება. მან სთქვა, რომ ამერიკის შრომის ფედერაციის ყურადღება მიიპყრო საქართველოს მთავრობის პროტესტმა, რომელშიაც აღნიშნულია უუმნიშვნელოვანესი ფაქტორი იმ საერთაშორისო მტაცებლობისა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს გენუაში.»

### მუშების დარბევა.

ბ. გომპერსი ბრალს სდებს ბოლშევიკებს, რომ მათ გადაადგდეს საქართველოს მთავრობა იმ მიზნით, რომ ხელში ჩაეგდოთ ძვირფასი კონცესიები, რომელნიც მათ ვაჭრობის საშუალებას აძლევენ და დაასკვნის:

«სრულიად უღაო და აშკარაა ბოლშევიკების ფლიღობა. აქ სრულიად ნათლათ გამოაშკარავდა გაუმაძღრობა და სიხარბე წითელი რეჟიმისა, რომელიც ქლეტს და ძარცვავს მუშებს, ერთათ-ერთი განზრახვით, რომ ქვეყნის სიმდიდრენი ექსპლოატატორებს გადასცეს ხელში თავის ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

«... ყაჩაღობის ამ შესანიშნავ ნიმუშის და საწინააღმდეგობის გაშუქების შესახებ არაფერი გვსმენია გენუიდან.

დღითი-დღე უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ამერიკას არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამგვარ დაუჯერებელ მახინჯიაში».

## საფრანკეთის სენატის საგ. კომისიის დადგენილება საქარ. შესახებ.

პირველ ივნისის ფრანგულ გაზეთებში მოთავსებულია შემდეგი ცნობა: სხვა საკითხებ შორის, საფ. სენატის საგარეო კომისიამ დაავალა თავის თავმჯდომარეს ყოფილ პრემიერს ჟორჟ ლეიგს ხელახლა მიაქციოს მთავრობის ყურადღება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს, რომელიც ცნობილი იყო იურიდიულათ დიდი სახელმწიფოების მიერ.

## წერილი ვარშავიდან.

26 მაისის დღესასწაული ვარშავაში.

პოლონეთის დედა ქალაქ ვარშავაში, თვით მართველობის დიდ დარბაზში გადახდილი იქნა დღესასწაული საქართველოს დამოუკიდებლობის ოთხი წლის თავის აღსანიშნავად.

საზოგადოება ბლომად დაესწრო. იცვენ მათ შორის მთავრობის, სეიმის, პოლონეთის მთავარი პრესის და სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომარდგენლები.

დღესასწაული გახსნა ქართულ ენაზე ქართულ კომიტეტის და ქართულ-პოლონური კლუბის თავმჯდომარემ ბ-ნმა სერგო ცურულიშვილმა, რომელმაც აღნიშნა 26 მაისის წინშენლობა საქართველოს ცხოვრებაში, და თვითონვე გადაუთარგმნა თავის სიტყვა საზოგადოებას პოლონურ ენაზე; მიესალმა დამსწრეთ, მთავრობის წარმომარდგენლებს და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შემდეგ ქართულზე ხორბმ შეასრულა ქართული ეროვნული ჰიმნი, რომელიც ფეხზე დგომით იქნა მოსმენილი და ტაშის ცემით დაჯილდოვებულნი.

შემდეგ ორკესტრმა დაუკრა ქართული და პოლონური ეროვნული ჰიმნები, რომელნიც საზოგადოებამ ფეხზე ადგომილმა მოისმინა და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

შემდეგ მოწვეულ იქმნა პრეზიდენტი, რომელშიაც შევიდნენ: ალ. ლენინცი (თავმჯდომარე), არხივისკოპოსი ბარონი როპი (საპატრონავთავმჯდომარე.) საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები: გრაფი კოსაკოვსკი, მარიან შუმლაკოვსკი, ვლ. დე-ბონდი, პეკარსკი (მდივანი), ქართული-პოლონური კლუბის წარმომადგენლები, გენერალი ანტონი რელიგიონი და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სიტყვები წარმოსთქვეს ქალაქ ვარშავის ვიცე-პრეზიდენტმა სლივიციკიმ, არხივისკოპოსმა როპმა, პოლიტიკურ კლუბების სახელით ექიმ პრენგოვსკიმ, პეკარსკიმ და სხვებმა.

ყველა ორატორები დიდი სიმპატიით იხსენიებდნენ საქართველოს და როგორც რაინდულ ერს დადებითად ახასიათებდნენ ქართველებს. მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა სერგო ცურულიშვილმა, რომელმაც ილაპარაკა საქართველო-პოლონეთის კავშირის შესახებ.

დღესასწაული დამთავრდა ქართულ და პოლონურ ჰიმნის შესრულებით.

ქართული

პრეზიდენტმა მიიღო აუარებელი მისალოცი დეპეშები პოლონეთის სხვა და სხვა კუთხეებიდან, აგრეთვე ფილიპოვიჩისაგან, რომელიც პოლონეთის პირველი ელჩი იყო საქართველოში.

პრეზიდენტმა შეადგინა მისალოცი დეპეშა და გაუგზავნა ბ-ნ ნოე ყორანას პარიზში. ერთი კვირის განმავლობაში ყველა გაზეთებში იწერებოდა ცნობები და წერილები საქართველოს შესახებ.

პოდორუნკი ვალიკო ხელაძე.

### ევროპის პრესა საქარ. შესახებ საქართველოს რესპუბლიკა.

(მეოთხე წლის თავი)

ასეთი სათაურით შვეიცარიის გაზეთ «დემოკრატი» მოთავსებულია მეთაური წერილი 26 მაისის თარიღით.

რევოლიუციის პირველ ხანებში საქართველო არ ფიქრობდა რუსეთისგან გამოყოფას. «ჩვენ მივდიოდით რუსეთის პროლეტარიატთან ერთად 1917 წ. ოქტომბრამდე, განუტხადა ჰიპოთიზილმა საქართველოს მუშათა საბჭოების სახელით ევროპის სოციალისტებს, რომელთაც ინახულეს საქართველო 1920 წელს, მაგრამ როცა ბოლშევიკებმა მოისურვეს დემოკრატიის პრინციპების უარყოფა, ჩვენ მათ ამაში არ გავყვივით».

და საქართველო საკუთარი გზით წავიდა. შემდეგ წერილში მოთხრობილია ისტორია კავკასიის კომისარიატის შედგენის, სეიმის, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, თათრების შემოსევა ბათუმში და დამოუკიდებლობის გამოცხადება ჯერ ამიერ-კავკასიის, 22 აპრილს და შემდეგ მისი დარღვევისა აზერბეიჯანის ოსმალურ ორიენტაციის გამო—საქართველოს 26 მაისი 1918 წელს. გაზეთი აღნიშნავს, რომ ეს რესპუბლიკა სავსე სიცოცხლით და შემოქმედებით—უნარით, ცნობილ იქნა, როგორც დამოუკიდებელი საბჭოთა რუსეთისაგან 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით და პირობა მიეცა, რომ თავს არავითარ შემთხვევაში არ დაესხმოდნენ. შემდეგ წელში 27 იანვარს იგი იცნო ევროპის დიდმა სახელმწიფოებმაც იურიდიულად. მაგრამ ბოლშევიკებმა დაარღვიეს თავის სიტყვა და ვითომდა ბოლშევიკურ რე-

ვოლიუციის დახმარების მომიჯნავენი საქართველოს რამდენიმე კორპუსი რუსის ჯარით და ოსმალთა არმიის დახმარებით. ნამდვილად კი ეს იყო ყველაზე უხეში იმპერიალისტური თავდასხმა. ყველა ქვეყნის სოციალისტებმა, გარდა ბოლშევიკებზე დაქვემდებარებულ კომუნისტთა ჯგუფებისა, დაგმო ასეთი პოლიტიკა საბჭოთა რუსეთისა საქართველოს მიმართ. ბრანტინგმა, მორჰეიმმა და ყორჟ რენოსმა ამ აქტს უწოდეს «ერთი ერის ყელის გამოჭრა». ინგლისის, ბელგიის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სოც. პარტიებმა გამოიტანეს საპროტესტო რეზოლიუციები, მეორე ინტერნაციონალმა და რეკონსტრუქტორებმა მოითხოვეს რუსის ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა საქართველოდან ან მისი ხალხისთვის თავისუფალ არჩევნებით თავის ნებისყოფის გამოთქმის უფლების მინიჭება. სამ ინტერნაცი. აღმასრ. კომიტ. სხდომაზე ვანდერველდე ენერგიულად მოითხოვდა საქართველოს განთავისუფლებას ბოლშევიკების რეჟიმისაგან. მაგრამ ბოლშევიკებს არ სურდათ ხელიდან გაეშვათ თავის ნადავლი.

«მაგრამ რუსეთის გარდა არავის დავიწყებია, რომ რუსეთმა იცნო დამოუკიდებლობა საქარ. რესპ. და მის უზრუნველყოფას დაპირდა, მოკავშირე სახელმწიფოებსაც, როგორც სჩანს კარგათ ვერ დაუხსომებიათ თავის გადაწყვეტილება 27 იანვ. 1921 წ. მიღებული; მათ არც კი მოიწვიეს გენუის კონფერენციაზე საქართველო».

და აი საქართველოს დამოუკიდებლობის მეოთხე წლის თავზე ჩვენ გვინდა მოვაგონოთ ყველა იმად, ვინც იცავს იმ სიმართლეს, რომ საქართველო გახდეს დამოუკიდებელი და თავისუფალი წინააღმდეგ ბოლშევიკების ძალადობისა.

წევსმა კავკასიის მთის კალთაზე მიაჯკვა პრომეთეოსი, მაგრამ ხელი მაინც ვერ შეუშალა მას მიეწოდებია ადამიანთათვის ცეცხლი, რომელიც კიდან მოიტაცა. რუსეთის დღევანდელ დიქტატორებს შეუძლიათ სტანჯონ ქართველი ხალხი, მაგრამ არ შეუძლიათ ჩააქრონ ცეცხლი, თავისუფლებისთვის შეწირული, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ დანთო მათ გულში.

ანდრე მადრი.





### საბჭოები და საქართველო.

ქურნალ «დე დება»-ში მოთავსებულია შემდეგი:

«ჩვენ მივიღეთ ქვემო მოყვანილი წერილი, რომელიც საინტერესო ცნობებს შეიცავს ბოლშევიკების მიერ საქართველოს განადგურების შესახებ, და რომელიც ნათლათ გვიჩვენებს, თუ რა ღირებულება აქვს საბჭოების მიცემულ პირობას. ამ უკანასკნელებმა მართლაც იცვენს საქართველოს დამოუკიდებლობა და ხელშეკრულობით დაპირდნენ მას, თავს არ დაგესხმითო, მაგრამ რამოდენივე ხნის შემდეგ მანც შეესიენ და დაიპყრეს.

ვათავსებთ ამ წერილს, როგორც ზემოთქმულის მოწმობას.


პარიზი 13 მაისი 22 წელი.

ბატონო რედაქტორო!

უკანასკნელ ხანებში მსხვილ ქურნალებსა და დიდ პრესაში იბეჭდება მოქ. ჩიჩერინის და საქართველოს რევკ. თავმჯდომ. ბუდუ მდივანის განცხადებანი საქართველოში დამცარებულ წესიერებას, ხალხის კმაყოფილებასა და თავისუფლებას, რომელიც მეფობს თურმე ბოლშევიკურ საქართველოში. სულ რამდენიმე კვირა იქნება, რაც მე დაეტოვე კავკასია და დაებრუნდი საფრანგეთში. მე შემიძლია მოგცეთ ნამდვილი მოწმობა, რომელსაც ვერაინ უარყოფს. ნება მიბოძეთ მოგაწოდოთ ჩემი ცნობები? მე არ ვარ მენშევიკი, არც ოფიციალურათ და არც ჩემი პირადი რწმენით. მაგრამ ვფიქრობ, მოვალე ვარ ვთქვა ჩემი აზრი მოსკოვის წარმომადგენელთა ტყუილების განცხადების წინააღმდეგ. საქართველოში 1921 წლის თებერვალში წითელი ჯარის შემოსევის შემდეგ ახალი რეჟიმი დაახლოვებით სამი თვის განმავლობაში მოეწყო და ამუშავდა რეგულიარულათ. მაგრამ როგორც კი მოსკოვმა იგრძნო თავის ძალა, როცა რუსის ჩეკა მოეწყო საქართველოში, როცა წითელი ჯარები გააძლიერეს, და მთელი ადმინისტრაციული აპარატი რუსის მოხელეებით აავსეს, მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. დღეს ხალხი თითქმის მთლიანათ მტრულათ განწყობილია ბოლშევიკებისადმი. ამ წლის თებერვალში, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის ნიადაგზე სახალხო მანიფესტაციები გაიმართა თფილისში, ქუთაისში

და განსაკუთრებით ბათუმში. ბრძოლა იცოქრებოდა, რევკომის თავმჯდომარეს ეცენ და სცემეს, საქართველოს ყველა ინტელიგენტური ძალები მეთაურობდნენ პროტესტანტებს... ამას შედეგათ მოცვა—ჩეკას მოქმედების გაძლიერება: პროფესორების, სტუდენტების და სხვ. დატუსადება. ასე რომ დღეს 10 ათასზე მეტი პოლიტიკური ტუსადი იქნება ციხეებში, ჩეკას სარდაფებში; უნივერსიტეტი დახურულია, რეჟიმის მოწინააღმდეგენი იძულებული გახდნენ სოფლათ და მთებში გახიზნულიყვნენ, და ბოლოს ქართული სამხედრო ერთეულები, რომელნიც მანამდე ეროვნულ არმიას შეადგენდნენ, რუსულ წითელ არმიაში იქნენ გათქვეფილი. საქართველოს ჩრდილოეთით მთიან ნაწილებში ბოლშევიკურ რეჟიმის ექსცესებმა წარმოშვეს აჯანყებები; სვანეთი უკვე ერთიანათ აჯანყებულია და თავის დამოუკიდებლობას აცხადებს. სხვა პროვინციები, როგორც კახეთი, თუშეთი, ხევსურეთი და ორი მაზრა—რაჭა და ლეჩხუმი ნაწილობრივ აჯანყებულ მდგომარეობაშია. სვანეთის წინააღმდეგ გაიგზავნა რუსული პოლკები; საგზეკუტია რაზმებით მოფენილია სოფლები. ეს უკანასკნელნი გლეხების ოჯახებშია დაბინავებული, ამ მოსახლეების ხარჯზე იკვებებიან, რომელნიც ისეთ შიმშილს განიცდიან, რომ ხუვერის და ნანსენის კომიტეტი და მახლობელ აღმოსავლეთის კომიტეტი იძულებული არიან მათ სარჩო მიაწოდონ.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობა, რომელიც მოსკოვმა საჯაროთ აღუთქვა ქვეყანას და ერთ მუჟა ქართველ კომუნისტთა მართველ წრეს, მხოლოდ ფიქციას წარმოადგენს. ყარსში 1921 წლის 1 ნოემბერში დადებული ხელშეკრულობით მოსკოვმა უკვე დაუთმო ქემალისტებს საქართველოს სამხრეთით პროვინციების ნაწილი; ამიერ-კავკასიის კონფედერაცია, რომელიც მოსკოვმა გადასწვციტა და ამას წინეთ კიდევ განახორციელა, რუსეთის ბატონობის ქვეშ აყენებს მთელ კავკასიას და საქართველოც ფაქტიურათ სლავიანურ პროვინციაა დღეს. ეროვნული ენა დევნილია ყველა ქართულ ადმინისტრაციულ დაწესებულებებში. ტელეგრაფი, ქუჩების სახელები, სწავლება გიმნაზიებში რუსულ ენაზე სწარმოებს. ყველა პასუხისმგებელი და მიღებული თანამდებობის მოხელეებათ წმინდა რუსოფილური ელემენტე-



ბია დაყენებული და ექვემდებარებიან მოსკოვის დირექტივებს. ქართული ეროვნული მოღვაწეების აზრი და მისწრაფებები დახშულია ცველა შემოქმედების სფეროში. დაბოლოს, თუ მოქ. ჩიჩერინი და ბ. მდივანი ასე დარწმუნებული არიან, რომ საქართველოში ასეთი წესიერება და საერთო კმაყოფილება გამედგობელი, რატომ არ თანხმდებიან იმ წინადადებას, რომელიც ამას წინეთ წამოაყენეს სხვადასხვა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. სახელდობრ, რომ გაცვანილ იქნეს საქართველოდან რუსის ჯარი და მოხდეს თავისუფალი დეკლარაცია იმის გასარკვევად, თუ რომელი სახელწიფოს წლობილება სურს მას?

უდალა, რომ სანამ რუსის პოლკები რჩებიან საქართველოში, უკანასკნელი ოკუპაციის ქვეშ მყოფ ქვეყანას წარმოადგენს. (საბჭოთა არჩევნები, რომელთა შესახებ ასე ბერს ცვირიან ბოლშევიკები, წარმოადგენენ აქაც ისე, როგორც რუსეთში, ჩეკისტების მიერ მორეკლ არჩევნების ტერორით დაშინებას), და რადგან მეორე მხრით ის «თავისუფლება», რომელზედაც კომუნისტები ლაპარაკობენ მხოლოდ მათი ოცნებაში არსებობს და სრულიად არ შეესაბამება ფაქტებს, თავისთავად ცხადია ცველასთვის, რომ მოსალოდნელია უწყისობა და არეულობები; ხალხის უკმაყოფილება ადვილათ შეიძლება გადაიქცეს მტრულ გამოსვლებათ, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს ტერიტორიით ნავთის გაზიდვის წინააღმდეგ (ნავთსადენი ბაქობათუმის), და ეს ჩაშლის ყველა იმ საქმეებს, რომლითაც მრავალი უცხო ერები არსებითათ არიან დაინტერესებული.

მიიღეთ და სხვ. ოდებ კენო.

სასარბიელო სიმდიდრე.

გაზეთ «ფინანსთა სვეისმაში» 22 მაისის ნომერში გკითხულობთ:

გენუის საერთო დიდ დრამატიულ ეპიზოდში ერთა კომედია იქნა გათამაშებული საქართველოს ნავთის გარშემო. საქართველო ერთი იმ სამ პროვინციათაგანია კავკასიაში, რომელთაც სცადეს რუსეთის ულლის გადაგდება და დამოუკიდებელი რესპუბლიკები გამოაცხადეს. როგორც ნავთიან ადგილებით მდიდარმა ქვეყნებმა, ამ რესპუბლიკებმა მადა აღუძრეს არა მარტო საბჭოთა რუსეთს, არამედ მთელი ქვეყნის ფინანსისტებსაც, რომელთაც კარგათ იციან რომ ხვალინდელი დღის ბატონი იქნება ის ერი ან

კონსორციუმი, რომელიც შეიქმნეს ცველასზე მდიდარ ნავთიან ადგილებს.

მოსკოვს არ შეეძლო ასეთ პირობებში მოეთმინა საქართველოს გამოყოფა და იგი დაპყრობილ იქნა წითელი ჯარისაგან. და ამას წინეთ კი ჩიჩერინი, რომელსაც ტყვილის მაინც და მაინც არ ერიდება წარბ შეუხრელათ სწერდა: საქართველო ბედნიერია და სრულიად დამშვიდებული მოსკოვის მფლობელობის ქვეშეო.

— თქვენ სტრუობთ, უპასუხეს საქართველოს დელეგატებმა, რომელნიც მოვიდენ გენუაში თავის საქმის დასაცველათ. თქვენ სტრუობთ აშკარათ და აი ბრძანება საქართველოში მდგომი თქვენი ჯარის სარდლის გაცემული, რომლითაც იგი მოითხოვს მაშველ ძალებს ნაციონალური აჯანყების დასაცბრობათ. ამის გარდა ჩვენ მოვიტხოვთ, რომ ევროპა გაეცნოს დავრილებით იმ საშინელებას, რომელიც ბოლშევიკების შემოსევამ მოიტანა ჩვენში, რომ დანიშნულ იქნეს შერეული გამოძიებელი კომისია, რომელიც ყველაფერს გამოარკვევს. და ბოლოს, რომ გენუის კონფერენციამ თუ მას მართლა აქვს სურვილი აგრესიულობის აკრძალვის ხელშეკრულობით ევროპის დამშვიდების, კეთილ ინებოს საქართველოს ნაციონალური მთავრობის მოსმენა და შეაწყვეტინოს ის აგრესიობის რეჟიმი, რომელიც გაამეფა მოსკოვმა ამ უბედურ ქვეყანაში.

რომ საქმის ვითარება ლოდიკის და კეთილ აზროვნების თანახმათ მიმდინარეობდეს, ეჭვი არაა, რომ ლოიდ ჯორჯი, რომელიც მსოფლიოში ღვთის მოადგილის როლს თამაშობს, სასტიკ ანგარიშს მრსთხოვდა საბჭოებს მათი ფარისევლობისათვის, და გადაწყვეტდა, რომ საქართველოს მინიჭებოდა უფლება თვითგამორკვევის.

მაგრამ როგორ იზამდა ის ამას? ის ხომ იმავე დროს ბრიტანეთის პრემიერია, რომელიც ამბობს: ჩვენ ვაჭარი ხალხი ვართო, და თავის სწრველთა და ფინანსისტ წრეებს იწვევს საჩქაროთ შეეკრან ბოლშევიკებს ხელშეკრულებათ, რომლითაც საქართველოს ნავთის სიმდიდრეს უნდა დაეპატრონონ.

აი ამრიგათ თავისუფალ ხალხს ართმევენ მის ბუნებრივ სიმდიდრეს. საბჭოები ციდიან მას რაც მათ არ ეკუთვნის. ბრიტანეთის ფინანსისტები ციდილობენ მათი ქურდობის ნაყოფს, ქურდის შემნახველთაგან. და როცა საფრანგეთი ამ ცუდ საქმეში ხელის გასვრახზე უარს ამბობს, მას მსოფლიოს მშვიდობიანობის დარღვევას აბრალებენ!





# ლონდონის კონფერენცია მე-2 ინტერნაციონალის.

18-20 ივნისს ლონდონში შეიკრიბა მე-2 ინტერნაციონალის კონფერენცია, რომელიც აღვნიშნავთ აქვე, აერთებს ყველა შეკავშირებულ მუშათა 70%-ს, დანარჩენი განაწილებულია ვენის შეერთებასა და კომუნისტურ ინტერნაციონალ შორის. თუ დავუმატებთ ამას იმ გარემოებას, რომ მე-2 ინტერნაციონალში თავმოყრილია ინგლისის ყველა მუშები და დიდი უმრავლესობა გერმანიის, ესე იგი ეკონომიურათ ყველაზე დაწინაურებულ ქვეყნების მუშათა კლასი, ხოლო ვენის ინტერნაციონალში პირველი ადგილი აქვს დღეს დაუძღვრებულ და უმნიშვნელო ავსტრიას, ხოლო კომუნისტებში ბატონობს კრემლის დიქტატორები, ცხადი იქნება, რომ ვეროპის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუშათა გავლენა განისაზღვრება თითქმის მხოლოდ მე-2 ინტერნაციონალის ძალით და მნიშვნელობით. ამიტომ მისი დადგენილებები ჩვენთვისაც საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ ეს ინტერნაციონალი თავიდანვე გადაჭრით და მკაფიოთ დაადგა საქართველოს დამოუკიდებლობის გზას, რომელიც მან ერთ-ერთ თავის მთავარ სამოქმედო საკითხათ დაისახა.

უკანასკნელი კონფერენციის გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: მე-3 ინტერნაციონალთან დამოკიდებულება და ვეროპის ეკონომიური აღდგენა.

დაესწრო თითქმის ყველა ქვეყნების წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოს სახელით ამხ. ირ. წერეთელი, რომელმაც წერილობითი მოხსენება წარუდგინა კონფერენციას საქართველო-დემ. და საერთოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ და თავის სიტყვაშიაც ამავე საგანზე ჩვეულებრივი მკერამე-ტყველებით ილაპარაკა.

ფართო მსჯელობისა და აწრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუციები.

## 1. ინტერნაციონალის მოქმედების შესახებ.

კონფერენცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მიუხედავად მეორე ინტერნაცი. გულწრფელი სურვილისა, მე-3 ინტერნ. მოქმედებათა გაერთიანების განხორციელება სპეცია-

ლურ, კონკრეტულ მიზნების მისაღწევად კი შეუძლებელი გახდა.

მოისმინა რა ცხრათა კომისიაში თავის წარმომადგენლების მოხსენება, კონფერენცია სავსებით იზიარებს მათ პოზიციას.

იღებს რა მხედველობაში, რომ მესამე ინტერნაციონალის მიერ ბერლინის კონფ. შემდეგაც გატარდება ისეთ მოქმედების, რომელიც პროფესიონალურ მოძრაობის გათიშვისკენ არის მიმართული და გამუდმებული თავდასხმა ინტერნაციონალურ სოციალისტებზე გვიმოტკიცებს მე-3 ინტერნ. არაკეთილსინდისიერ მოტივებით ხელმძღვანელობას მაშინაც კი, როდესაც იგი საერთო ფრონტზე ლაპარაკობს;

რომ მოსკოვში ს.-რევ. პოლიტიკურ პროცესში ნახმარი მეთოდები უხეში დარღვევაა აპრილსა და ნაისში ბერლინის კონფერენციებზე მიღებულ პირობების, და რომ უკან წაღება ცოველ პირობის გარეშე მოცემულ დაპირების—საქართველოს საკითხის გამო შემდგარ საანკეტო კომისიისთვის ყველა სათანადო საბუთების მიწოდების შესახებ, აშკარათ ამტკიცებს, რომ მოსკოვის მთავრობას არ სურს იმპერიალისტურ და მილიტარისტულ პოლიტიკას თავი გაანებოს.

კონფერენცია ასკვნის, რომ მას არ შეუძლია ასეთ პირობებში ხელახლა მესამე ინტერნ. შეთანხმების დამყარების ცდაში მონაწილეობა მიიღოს.

კონფერენციას დიდად სამწუხაროთ მიაჩნია ფაქტი მუშათა ინტერნაციონალის დაყოფის და ამის შედეგათ მუშათა კლასის დასუსტების, განსაკუთრებით დღევანდელ ზომენტში, როცა გამანადგურებელი შემოტევა კაპიტალისტების მხრივ, როგორც ეკონომიურ ისე პოლიტიკურ სფეროში მთელი თავის სიმწვავეთ საგრძობელი ხდება ყველა ქვეყნებში და გვიცხოველებს სურვილს ვიმუშაოთ ამ გათიშვისათვის ბოლოს მოსაღებათ, მით უმეტეს, რომ ეს გათიშვა არ არის შედეგი პრინციპებსა და ბრძოლის მეთოდებში განსხვავების, და სრულიად გაუგებარია მუშათა ფართე მასისათვის.

ყველა ამ მოტივების გამო, ის მოუწოდებს ვენის შეერთებას ითანამშრომლოს მეორე ინტერნაციონალთან მუშათა და სოციალისტთა საერთო კონგრესის მოსაწვევათ ამ წლის დამლევამდე. მაგრამ ამასთანავე ადგენს, რომ თუ

ვენის ინტერნაციონალმა შესაძლებლათ ვერ სცნო ამ წინადადების გაზიარება, მე-2 ინტერნაციონალი თვითონ მოიწვევს ასეთ კონგრესს ოქტომბრის მეორე კვირის განმავლობაში. ამ კონგრესის მთავარი საკითხი იქნება გამოკვლევა იმ პირობების, რომელიც შესაძლებელს გახდის ინტერნ. მთლიანობის აღდგენას ცველა მუშების და სოციალისტების გასაერთიანებლათ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიურ აღორძინების საკითხის გარეშემო.

კონფერენცია ძმურ სალამს უძღვნის ამსტერდამის სინდიკალურ ინტერნ. და სიხარულს გამოსთქვამს იმის გამო, რომ მან სათანადო წინააღმდეგობა გაუწია კომუნისტების გამოიშველ მეცადინეობას; იგი მწუხარებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დღეს პროფესიონალურ მოძრაობას სჭირდება გარდა კაპიტალისტებისა, სხვა შინაურ მტრებისაგანაც თავი დაიცვას.

კონ. აცხადებს რომ იგი ყოველ მხრივ მხარს დაუჭერს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებს, რომელსაც ამსტერდამის ინტერნ. მოაწვდის, და მოუწოდებს ყველა თავის მონაწილე პარტიებს, ყოველივე ზომები მიიღონ ამ დემონსტრაციების ბრწყინვალეთ ჩასატარებლათ. ის პირდება ამსტერდ. ინტერნ. სრულ თანამშრომლობას ყოველ სინდიკალურ, თუ პოლიტიკურ გამოსვლებში, რომელიც საჭიროთ იქნება მიჩნეული კაპიტალისტების თავდასხმისაგან თავის დასაცველათ, არსებულ ეკონომიურ დაქვეითებისათვის ბოლოს მოსაღებათ და ევროპის გარდასაქმნელათ ერთა შორის მშვიდობიანობის და წარმოების თავისუფლათ გაცვლა-გამოცვლის საფუძველზე.

მეორე საკითხი ეხებოდა ევროპის საჭირობორტო საგანს,—მის ეკონომიურ აღდგენას. ამის შესახებ კონფერენციამ მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია.

კონფერენცია მთელი ქვეყნის მუშათა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ კაპიტალიზმის იმპერიალისტური და მილიტარისტული პოლიტიკა სრულიად გაკოტრდა. მან მოგვცა ომები და ვერ მოგვცა ზავი. ერთი მეორის წინააღმდეგ ჯიბრობის გამო მათ რომც უნდოდესთ, არ შეუძლიათ ზავი განახორციელონ. თვით მათი ბუნება უშლის ამაში ხელს. და მთელი ხალხი დღეს ხელახლა

იმავე მდგომარეობაში ვარდება, —როგორც 1914 წელს იყო.

ეკონომიური არევდარევა შექმნილი ქიშობით, რეაქციის გაძლიერება, 8 საათის სამუშაოდლის, რომელიც მიღწეული იყო ბევრგან, საფრთხეში ჩავარდნა, ხელფასის დაცემა, სამხედრო ხარჯების გაძლიერება, დეფიციტის ბიუჯეტები, ხარჯთა სიმძიმის მუშათა კლასზე გადატანა, ყოველი სოციალური რეფორმის უარყოფა უფულობის მიზეზით, ზრდა სიღარიბის და უმუშევრობის საწარმოო ქვეყნებში, შიმშილობა ბევრგან, სახადების გააღრმავება, რომელიც მუშათა კლასს ავლებს მუსრს; აი ევროპის სურათი შექმნილი კაპიტალისტურ მართვა-გამგეობისაგან.

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ, კონფერენცია მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს გაერთიანებისაკენ, რაც მათ დღევანდელ სისუსტეს დასდებს მალამოს, და ის აცხადებს, რომ იგი მომხრეა «დემოკრატიზმის, პოლიტიკური თავისუფლების, პრესის და ასოციაციების თავისუფლების», და ამისთვის მუშათა გაერთიანებული ფრონტის აუცილებლობის, რომელიც დაიცავს ცენტრალურ ევროპას მარჯვნიდან მოსალოდნელ მონარქისტულ რეაქციისაგან და წინააღმდეგება მარცხნიდან უმცირესობის მიერ დიქტატურის ხელში ჩაგდებას.

კონფერენცია უარყოფით უყურებს ინტერნაციონალურ ტრესტების კონკურენციას, რომელიც იხმარებენ დიდ სახელმწიფოთა ჯარს და ძალას, რომ მიისაკუთრონ ბუნებრივი სიმდიდრენი, როგორც ნავთი, და სხვა ნედლი მასალის წყაროები, და ამ მიზნით ფეხ ქვეშ თელავენ მცირე ერთა თვითგამორკვევის უფლებას; ის ემხრობა ნედლი მასალით და პირველ საჭირო საგნებით ყველას სათანადო დაკმაყოფილებას ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ.

გერმანიის სარეპარაცია ხარჯების შესახებ ის ემხრობა ფრანკფურტში მიღებულ 5 პარტიის რეზოლიუციას.

ის მოუწოდებს შემდეგ ყველა პარტიებს იმოქმედონ განაირადების, ზავის და თავისუფლების სასარგებლოთ სიტყვით და საქმით.

ბოლოს რეზოლიუცია ავალებს თავის სეკრეტარიატს მოელაპარაკოს სხვადასხვა სოც. პარტიებს ამ რეზოლიუციის განსახორციელებლათ და მის მახლობელ საერთო კონგრესის საფუძვლათ გადასაქცევათ.



# სსსრკ-ის გასამართლება.

პირველი ტრიბუნა.

8 ივნისს მოსკოვის სარევოლიუციო ტრიბუნებში დაიწყო რუსეთის სოც-რევოლიუციონერთა პარტიის 47 წევრის გასამართლება. გასაკვირი არ არის, რომ ამ პროცესმა მიიპრობა არა მარტო რუსეთის ყურადღება, ამ პროცესისაკენ მიქცეულია მთელი განათლებული კაცობრიობის თვალი და ევროპაც გულდასმით აკვირდება ჩვენი დროის უსაშინელეს ტრაგედიას, რომელიც მოსკოვის ტრიბუნალის დარბაზიდან, შეიქმნა ითქვას, პირველათ იშლება ასე ნათლად ქვეყნიერების თვალწინ.

ადვილათ ასახსნელია ის ინტერესი, რომელსაც ეს გასამართლება იწვევს; რევ-ტრიბუნალის წინაშე მარტო ესერები სხედან, იქ გასამართლებენ რუსეთის რევოლიუციონერებს, რომელთაც შესწევდათ ძალი და გამბედაობა ქედი არ მოეხარათ ახალი მეუფების წინაშე, მაგრამ ევროპა და მისი სოციალისტური დემოკრატია გასამართლებს თვით ესერების მსაჯულებს. მოსკოვის პროცესში პირველათ იშლება დასავლეთისათვის მთელი შიდა პირი კომუნისტური დესპოტიის და ყველასათვის, ვისთვისაც კიდევ საკმაოდ არ იყო გარკვეული მისი წითელი სახე, დღეს თავისუფალი საშვალდება ეძლევათ ამისთვის.

იმ ქვეყანაში, სადაც მოისპო ძალით ყოველივე საშუალება თავისუფალი გამოთქმისა, სადაც, ერთად-ერთი პრესა—კომუნისტური დიქტატურის—და ისიც ჩეკას განსაკუთრებული ცენზურის ქვეშ, იმ ქვეყანაში სადაც პიროვნებათა თავისუფალი შეხვედრაც კი აკრძალულია, 4 წლის ასეთ რეჟიმში ტანჯვა-წამების განმავლობაში მხოლოდ პირველად შეიქნა საშუალება უშიშარი სიტყვის მოსმენის და ისიც სასამართლოს დარბაზიდან, სადაც მსაჯულების უკან აშუკრათ მოსჩანს სიკვდილის აჩრდილი.

საბრალმდებლო სკამები მიუხედავად ამისა, მაინც გადაიქცენ პირველ ტრიბუნათ.

«ბრალდებულნი»

სამართალში არაა მიცემული ესერების თვალსაჩინო ხელმძღვანელები გოცი—ერთი ლიდერთაგანი პარტიის, ტიმოფეევი რუსეთის საბჭოების თავმჯდომარის ამხანაგი დემოკრატიულ კე-

რიოდში, დონსკოი, გენდელმანი, ლიშარი, ვედენიაკინი, ეგვნი რატნერ და სხვ, ეს პირნი ახლად დატუსაღებულნი არ არიან, უმეტესობამ მათ შორის განვლეს ველა სატანჯველნი ბოლ-შევიკური ციხეებისა და 4 წლის ტუსაღობის განმავლობაში მხოლოდ იმას ითხოვდნენ, რომ მათთვის წარედგინათ რაიმე კონკრეტული ბრალდება და სამართალში მიეცათ. ცოველი ასეთი თხოვნა, გამაგრებული შიმშილით და სხვაგვარ ასეთი პროტესტით ცოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა და არც შეიძლებოდა, რომ წითელ ინკვიზიტორებს დაეკმაყოფილებინათ ასეთი მოთხოვნა.

— მათს განკარგულებაში იყო მხოლოდ, ერთი საბუთი—სურვილი კომუნისტების მცირე ჯგუფის ძალით ბატონობი და ასეთი სურვილი საჯარო სამართალისათვის, რასაკვირველია გამოსადეგი არ არის. კომუნისტებისათვის საჭირო იყო მხოლოდ თავისი მოწინააღმდეგე ძალების მოსპობა და ხალხისაგან ჩანოცილება ყველა მებრძოლი ელემენტების; მაგრამ ამ პოლიტიკამ მაინც ვერ მოიტანა საფასურით დამაკმაყოფილებელი შედეგები; ციხეების საკნები შეიქნენ ხალხისათვის ახალ სამლოცველოთ და ამ საკნებიდან გამოსულმა ხმამ დიდი გამოძახილი იპოვა არა მარტო რუსეთის ხალხში, არამედ ევროპის მუშათა წრეებშიც, სადაც მათმა ბედმა ფართო თანაგრძნობა მოიხვეჭა და სოციალისტური დასავლეთის დღიურ ლოზუნგათ იქცა. პოლიტიკური პატიმრების დახსნა წითელ დიქტატორთა ბრძალებისან. დატუსაღებულ ესერების მდგომარეობა იმდენათ პოპულარული შეიქნა, რომ მათი «ანგარიში გამოცვანა», როგორც ჩეკისტების ტერმინოლოგიით ითქმის, სიცოცხლის განოსალმება უკვე შეუძლებელი შეიქნა და კომუნისტური ხელისუფლება იძულებული იყო მოეწყო საჯარო გასამართლება დატუსაღებულ მოწინააღმდეგეთა და ამ მიზნით მიმართა ახალ საშუალებას: მან მოსძებნა სოც-რევ. პარტიის ცოფილ წევრთა შორის ნაძირალი ელემენტები, რომელთაც დიდი ხანია რაც ჩამოშორდნენ პარტიას და დღეს თვით ჩეკას სამსახურში იმყოფებიან და მათის დახმარებით და მონაწილეობით შეუდგა საბრალმდებლო ოქმის შედგენას სოც.-რევ. პარტიის წინააღმდეგ, რომელშიც შეიტანეს ყველაფერი; რითაც მდიდარია ჩეკას პროვოკატორული პრაქტიკა

და ის, რასაც ვერაგინ ვერ დაიჯერებს, გარდა მოყიდული მსაჯულისა. სოც.-რევოლიუც. რემუნცი სამოქალაქო ომის სამივე წლის განმავლობაში დენიკინის და ვრანგელის წინააღმდეგ კომუნისტებზე არა ნაკლებ იბრძოდნენ, დაბრალეს მათთან კავშირი და საერთო მოქმედება. ამისთვის მოწმეებიც მოიყვანეს—ყოფილი ეს-ერები, ამ სამი წლის წინ ჩეკას სამსახურში შესულნი და პროვოკატორებათ გადაქცეული ცოლ-ქმარი სემიონოვი და კონოპლიოვა.

რომ ყველაფერი რიგზე ღოფილიყო «მონაწიეები» ჩეკისტებიც ეს-ერების ბელადებთან დასვეს საბრალდებლო სკამების ერთს წყებაში და «საჯარო სასამართლოც» მოწყობილი შეიქნა.

**«უცხოელნი დამცველნი»**

«სასამართლოში» მიცემულთა ბედი წინასწარი იყო განწირული და მათი სიცოცხლე, ალბათ დიდი ხანია რაც «კანონიერათ» გამოვსალმებოდა ამ წუთი სოფელს, რომ კომუნისტების საუბედუროთ ერთი ახალი გარემოება არ წამოჭრილიყო.

გენუის კონფერენციის წინ მოსკოვის მეუფეებს დასჯირდათ ევროპის სოციალისტებთან გატეხილი ხიდის აღდგენა და საერთო ფორმის გამართვა და ამ მიზნით ბერლინის სამივე ინტერნაციონალის ცნობილი კონფერენციის მოწვევა, რომლის შესახებ ჩვენი ჟურნალის წინა ნომერებში უკვე საკმაო ინფორმაცია დაიბეჭდა. [ამ კონფერენციასზე ორივე ინტერნაციონალმა ყოველივე მოლაპარაკებისათვის ერთ-ერთ წინასწარ პირობათ დაუდვა კომუნისტებს პოლიტიკურ ტუსადების განთავისუფლება და ბოლოს, მოლაპარაკების შედეგში, შემუშავებულ იქნა შეთანხმება, რომლის ძალით სამართალში მიცემულ ეს-ერებისათვის არ უნდა გამოეტანათ სიკვდილით სასჯელი არავითარ პირობებში, ხოლო მათ დასაცავათ უნდა დაეშვათ ყველანი, ვისაც ბრალდებულნი მოისურვებენ; სასამართლო უნდა ყოფილიყო საჯარო და დამცველებისათვის უნდა მიეცათ ფართო საშუალება საქმის გაცნობისა და სასამართლოს ანგარიშების სტენოგრაფიის წარმოებისა.

ბრალდებულთა დაცვა იკისრეს ევროპის სოციალისტური მოძრაობის სხვადასხვა მიმდინარეობათა ხელმძღვანელებმა ემილ ვანდერველდემ, კურტ როზენფელდმა, თეოდორ ლიბკნეხ-

ტმა და ევროპაში გადმოხვეწილმა სოციალისტურ მოძრაობის, ლებედევმა და სხვებმა.

საბჭოთა მთავრობამ კონფერენციის გათავებისთანავე დაარღვია თავისი პირობა და მით ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ რუს დამცველებისათვის სრულებით შეუძლებელი შეიქნა მოსკოვში წასვლა და რუსეთს მხოლოდ უცხოელი დამცველნი გაემგზავრენ.

მიუხედავათ იმ მრავალგვარ დაბრკოლებათა, რომელნიც საბჭოთა მთავრობამ შეუქნა სოციალისტ დამცველებს, მათ მაინც სცენეს თავის პირდაპირ მოვალეობათ დატუსაღებულ რუს ამხანაგებთან გვერდში დადგომა და ყოველივე ზომის მიღება, რომ ტრიბუნალის დარბაზიდან გამოეტანათ და ევროპის მუშათა წრეებისათვის ემცნოთ ნამდვილი ქეშმარიტება იქ წარმოებულნი საქმისა.

ვანდერველდე და მისი მეგობრები არ წასულან რუსეთში, როგორც უპირობო დამცველნი პასუხის გებაში მიცემულ ესერებისა—მათ წინასწარ განაცხადეს, რომ ისინი ჰგობდენ კომუნისტ ვოლოდარსკის მკვლელობას და ასეთსავე განზრახვას ლენინის წინააღმდეგ, რაშიდაც კომუნისტები ბრალს სდებენ ეს-ერებს, მაგრამ მათ სურთ გამოარაკვიონ «დამნაშავენი არიან ეს პირნი ზემო-ხსენებულ ბრალდებაში თუ არა?»

ვანდერველდეს და მისი ამხანაგების მოგზაურობა მოეწყო უჩვეულ პირობებში; მათი ჩასვლის წინ კომუნისტურმა განეთებმა დაიწყეს სასტიკი კომპანია «სოციალ-გამყიდველების» და «მუშათა კლასის გამცემთა» წინააღმდეგ, ხოლო მათი მსვლელობის გზაზედ კი მოაწყვეს ხელოვნური მანიფესტაციები, სადაც «გაადრებულნი ხალხი» ესროდა ქვებს დამცველთა ვაგონებს.

რაც სასწაულით ამ პირებმა მაინც სიმრთელით მიაღწიეს მოსკოვს.

მოსკოვში უცხოელი სოციალისტები მოათავსეს ქალაქ გარეთ, მოუსპეს ყოველივე საშუალება გარეშე პირებთან ურთიერთობისა და განსაკუთრებულათ მიჩენილ «დამცველთ» ჩეკისტების საშვალებით ფაქტიურ პატიმრებათ აქციეს. ჩეკისტები თან დაეცებოდნენ მათ ღოველფების გადადგმაზე.

დამცველებმა, მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა მაინც თავის ზნეობრივ მოვალეობათ მიიჩნიეს ტრიბუნალის პროცესში მონაწილეობა მიეღოთ.



არც დამცველებმა და არც ბრალდებულებმა საქმის გარჩევის გადასადებ მიზნათ არ მიიჩნიეს არცის მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ რამოდენიმე ტომისაგან შემდგარი საბრალდებლო ოქმი ბრალდებულთ მხოლოდ ერთი კვირის წინ ჩააბარეს საქმის გარჩევამდის.

საკუთარ დამცველების ნახვაც კი მათ მხოლოდ პროცესის დაწყებისას შესძლეს. პროვოკატორ ბრალდებულთა დაცვა კი იკისრეს კომუნისტების ვეჟილებმა და მათმა ბელადებმა ბუხარინმა, ლუნაჩარსკიმ და სხვებმა, თუმცა ბრალდებულთა ეს ჯგუფი თვით გამოვიდა ბრალმდებელთა როდში.

**რევ-ტრიბუნალი.**

კომუნისტური მართლ-მსაჯულების გასაგებათ ხანსაკუთრებით საინტერესოა რევ-ტრიბუნალის შემადგენლობა—საბჭოთა წვობილების ამ უმაღლესი სამსჯავროსი.

ამბობენ, რომ რევოლიუცია თვით ჰქმნის კანონებს და არსებულ კანონთა მორალით არ შეიძლება რომ მათ მიუღდეთ; მაგრამ ყოველ რევოლიუციასაც თავისი მორალი აქვს და თუ რუსეთის თანამედროვე რევოლიუცია ხასიათდება სრული ამორალიზმით, ეს დაწესებულებაც მისი შესანიშნავი გვირგვინია.

ტრიბუნალი ასამართლებს მთელს პარტიას, რომელიც ებრძვის კომუნისტურ დიქტატურას და მსაჯულებათ გამოდინან იგივე კომუნისტები. სად არის აქ სამართლის რაიმე ნაშთი?

ასეთი სასამართლოს განაჩენი ვისთვის უნდა იყოს დამარწმუნებელი?

მაგრამ ამაზე უფრო საინტერესოა თვით ტრიბუნალის პიროვნული შემადგენლობა. რუსეთის ტრიბუნალების პლენუმის თავმჯდომარე არის ბ-ნი კრილენკო, რომელიც ნიშნავს მსაჯულებს სხვადასხვა ტრიბუნალებში; მსაჯულნი მისი ხელქვეითნი არიან; ხოლო ამ პროცესში ბ-ნმა კრილენკომ იკისრა ბრალმდებლის ფუნქციები, და მსაჯულებათ კი თავისი ხელქვეითნი დააყენა. განა შეიძლება ამ პირობებში მიუდგომლობის დაცვა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი—სასამართლოს თავმჯდომარე პუტიაკოვი ბ-ნი კრილენკოს მკვიდრი ცოლის-ძმაა ხოლო იმავე კრილენკოს და აწარმოებს საქმის წინასწარ გამოძიებას, როგორც ტრიბუნალის ოფიციალური გამომძიებელი. ამას დაუმატეთ, რომ ასეთი ნათესაური შედგენა სამსჯავროსი აკრძალულია თვით კრილენკოს ბრძანებით.

ქვეშარტათ, რომ ნამდვილი ბოლშევიკური სასამართლოა; ან რა საჭირო იყო მთელი კომედია პროცესისა, როდესაც საქმე სავსებით

შეიძლებოდა გამოჩვენებულიყო მარტო კრილენკოს ოჯახში.

და როდესაც ამ ცოვლად უჩვეულო გარემოებას დამცველებმა საბუთიანი ყურადღება მიაქციეს და მოითხოვეს წსაჯულთა შეცვლა ტრიბუნალმა თავისივე შემადგენლობაში უცურადღებოთ დასტოვა ეს მოთხოვნა. კრილენკომ პირდაპირ განაცხადა, რომ ტრიბუნალი დამცველი ორგანოა საბჭოთა წვობილების დამიტომ იგი არ შეიძლება რომ მიუდგომელი იყოსო.

განა სადმე, თვით საფრანგეთის რევოლიუციის უსაშინელეს ტერორის პერიოდში, თუნდაც იმავე დანტონს, რომლის აჩრდილი მოსვენებას არ ალევს კომუნისტურ ყაჩაღებს, შეიძლება საჯაროთ ეთქვათ ასეთი რამ? სასამართლოს პირველი ფუნქცია მისი მიუდგომლობა და თუ მას იგი გამოეცალა, რაზედ უნდა დაეგრძნოს იგი? ან და რაღა საჭიროა თვით კომედია ამ «გასამართლების», თუ იგი წინასწარ მიკერძობებით მოქმედებს?


ბოლშევიკებმა იციან, რომ ხალხს მარტო სასამართლოს სახელისაც კი პატივისცემა აქვს და ამიტომ მისი სახელით გამოტანილ განაჩენს მეტი ფასი ექნება—კრილენკოს განცხადება ხომ კომუნისტურ განჯებში არ იბეჭდება, რომ საქმის ნამდვილი სახე გამოჩვენდეს.

ეს-ერებს «გასამართლებენ», საქმეს ხალხისთვის კანონიერი სახე მიეცემა, ხოლო ტრიბუნალი კი ცველადებს პროლეტარული ინტერესებით გაამართლებს...

**უცხოელი დამცველნი წავიდენ.**

უცხოელ დამცველებს ტრიბუნალმა თავიდანვე ისეთი პირობები შეუქნა, რომ მათი პროცესში დარჩენა სრულგბით მიზანშეუწონელი იყო. მათ მოსთხოვეს, რომ ყოველივე სიტყვა და განცხადება სასამართლოში ცოფილიყო საქმის წარმოების კონკრეტულ მაგალითებზე დაგრძნობილი, ხოლო ამავე დროს კი აუკრძალეს საკუთარი სტენოგრაფიის წარმოება.

ამით ტრიბუნალმა დაარღვია ბერლინის შეთანხმების პირობები და როდესაც დამცველთა განმეორებით მოთხოვნაზე, რომ ეს პირობები შესრულებული ცოფილიყო, მთ მიიღეს პასუხი, რომ არამც თუ ტრიბუნალი არავითარ ბერლინის პირობებს არ სცნობს, ამ პირობებს აღარ სცნობენ თვით ავტორნი შეთანხმებისა რადეკი და ბუხარინი, უცხოელ დამცველთათვის შეუძლებელი და უაზრო იყო ამ კომედიის გაგრძელება—თვით ბრალდებულთ განაცხადეს, რომ ისინი მადლობით ანთავისუფლებენ უცხოელ ამხანაგებს ასეთის ღირსებით ნაკისრ მოვალეობისაგან.



მაგრამ ვანდერველდეს და მის მეგობრებს საესვებით არ მოუხსნიათ თავისი მოვალეობა— მათ მხოლოდ შეუძლებლათ სცენეს ისეთ სასამართლოში დარჩენა, სადაც უკანონობას და ამორალიზმს რომ თავი დავანებოთ, მათს დარჩენას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

მათ თავისი მოვალეობის ასრულება იკისრეს ევროპის წინაშე, რომელსაც გადასწყვიტეს ამცნონ თავის თვალთ ნახული ამბავი და ქეშმარიტება, და შეძლებისადაგვარათ გავლენა მოახდინონ აქედან რუსეთის ხელისუფლებაზე. თვით ვანდერველდე, რომელიც ეხლა ევროპის ქალაქებში აწყობს განწირულ ეს-ერების დამცველ მიტინგებს და პრესაში ეწევა ფართო აგიტაციას, ასე აგვიწერს ტუსალებთან გამოთხოვების უკანაქველ წუთებს:

«ჩვენ შევიკრიბეთ 5 საათზე, რომ ერთათ ვისაუზნოთ უკანასკნელათ. ვიდრე მათ წასაყვანათ მოვიდოდნენ, მოუსხედით მაგიდის ერთს კუთხეს და შევადგინეთ ჩვენი უკანასკნელი განცხადება ტრიბუნალის მიმართ. ტექსტი შედგენილია და ხელმოწერილი, ყველაფერი გათავებულა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ აღარ ვიქნებით მათი დამცველნი და მათი ნახვა უკვე აკრძალული გვექნება. შეიძლება ისინი ვერასოდესაც ვერ ენახოთ. მაგრათ ვართმევთ ერთმანეთს ხელებს—სიტყვებს ცრემლი აჩერებს ყელში. კომენდანტი გვანიშნებს, რომ ლაპარაკის დრო გათავდა. მივდივართ. და როდესაც უკვე კიბეზედ ჩავდივართ, ღია კარებიდან მოგვესმის ქალის წმინდა ხმით დაწებული სიმღერა «ინტერნაციონალის» ეს გვეთხოვებიან ბრალდებულნი და მათ პირიდან ეს სიმღერა წმიდა ლოცვით მოისმის. «ინტერნაციონალის» სიმღერით ეთხოვებიან განწირულნი თავის უძვირფასეს მეგობრებს და ამავე «ინტერნაციონალით» იწყებენ თავის სამსჯავროსაც ისინი, ვინც ამ განწირულთ სიკვდილს უმზადებენ.

უკუთელი დამცველები მილიან, ბრალდებულთა რჩებიან მხოლოდ რუსი დამცველები მურავიოვის მეთაურობით, რომელიც არა ერთხელ ყოფილა ამ როლში ცარიზმის რეაქციის დროს.

**მიტინგი სასამართლოში.**

ბ-მა კრილენკომ აღარ იკმარა ყველა ის აშკარა დარღვევანი თვით საბჭოთა კანონმდებლობისა, რომელნიც ზევით მოვიყვანეთ. მან აღარ იკმარა ის აშკარა აგიტაცია საბჭოთა განათებისა, რომელნიც პირდაპირ მოითხოვდნენ ბრალდებულთათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას; აღარ იკმარეს არც ტრიბუნალის თავმჯდომარის პიატაკოვის გამოსვლა, რომ

მელმაც უსირცხვილოთ განაცხადა პროცესის დაწყებისთანავე საჯარო მიტინგზე, რომ ტრიბუნალი შეასრულებს «პროლეტარიატის მოთხოვნას» და პასუხისგებაში მიცემულ ეს-ერებს ღირსეულ სასჯელს მიუჩენს. ცველა ეს დაქტებიც აღარ იცვენ საკმარისი და უტხოველ დამცველთა წასვლის მეორე დღესვე სასამართლოში შემოიჭრა მანიფესტანტების ბრბო და რევოლიუციური სამსაჯულო გადაიქცა მიტინგათ, სამსაჯულომ არამც თუ არ მიიღო სათანადო ზომები—თვით მსაჯულები გამოვიდნენ ორატორებათ და თავმჯდომარე პიატაკოვი თვით იქცა მიტინგის თავმჯდომარეთ.


რევ-ტრიბუნალის განაჩენი წინასწარ გამოირკვა—«სიკვდილი დამნაშავეთ!» დამცველმა მურავიოვმა, რასაკვირველია, განაცხადა, რომ ტრიბუნალმა ჩაიღინა აშკარა უკანონობა და მისი შემადგენლობის შეცვლა მოითხოვა. ეს ნოთხოვნილება არც ახლა იქნა შესრულებული და ბრალდებულნი იძულებულნი იქნენ გამოთხოვოდნენ უკანასკნელ დამცველებს.

მურავიოვმა და მისმა ამხანაგებმაც დასტოვეს სასამართლოს დარბაზი, ხოლო საქმის განხილვა გაგრძელდა. ეს გრძელდება დღესაც საბჭოთა განათები და კომუნისტი მანიფესტანტები განაგრძობენ იარაღის ქლარუნს სასამართლოს დარბაზთან, ევროპის სოციალისტებს კი მოთხოვნილებები მოთხოვნილებებზე გამოაქვთ ამ უჩვეულო ტრაგედიის გამო, ხოლო «ჩეკა» თავის საქმეს განაგრძობს.

მურავიოვი და ცველა რუსი დამცველები, რომელთაც შესწევდათ გამბედაობა შესრულებით თავისი მოვალეობა სინდისის წინაშე უკვე ჩეკას სარდაფში სხედან.

მურავიოვთან ერთათ დაატუსაღეს გენ. ვერხოვსკი და სხვა მოწმენიც, რომელიც ბრალდებულთა წინააღმდეგ ვერაფერი აჩვენეს. ტრაგედია ალბათ მალე მიალწეს თავის დასასრულს.

მაგრამ პროცესმა უკვე შეასრულა თავისი საქმე—იმ ხმამ, რომელიც საბრალდებლო ტრიბუნიდან სასამართლოს ჩაკეტილ კარებს გამოაღწია, ძალზედ შეანძრია რუსეთის საზოგადოებრივი აზროვნება და ქარხნების საცივირი.—რუსის მუშებმა მთელი რიგი საპროტესტო მიტინგებით უპასუხეს კომუნისტების ვერაგობას—მარტო ის ცნობებიც საპროტესტო რევოლიუციები მოსკოვის ქარხნების, ხარკოვის და სხვა ქალაქების, რომელნიც დამცველებმა მოასწრეს ტრიბუნიდან გამოეჭყვენებიათ, საკმარისია, რომ ბოლშევიკების გული ძალზედ შეუფოთებულიყო და მათ გააჩუმეს ეს ერთადერთი თავისუფალი ტრიბუნა, მაგრამ თვით ამ გაჩუმებას ალბათ კიდევ უფრო მეტი რეზონანსი ექნება...







(დახასრული)

საქართველო  
გეოგრაფიული

## პ. საერთო განადგურება.

«განადგურება, განადგურება, უნუგეშო განადგურება: აი შთაბეჭდილება, რომელსაც იღებს საქართველოში ჩასული კაცი. ქუჩები, სახლები, სახელმწიფო დაწესებულებების ადგილები, ბინები, ავეჯი, სკამები, მაგიდები, შკაფები, ტანთსაცმელი, საცვლები, ფეხსაცმელები: ყველაფერი დანგრეული, დაფხრწილი, დამსხვრეული, დატყეული, გაცვეთილი და გაპარტახებული. უკვე სტამბოლში, რომელიც გზით უნდა გაიაროს საქართველოში მიმავალმა მოგზაურმა, თვლი საკმაოდ ჩვევა სილატაკის სურათს. მაგრამ იმ გაშიშვლებულ სილატაკის გამოდგენა, რომელსაც ბათუმი და თფილისი წარმოადგენენ, აქარწყლებს სტამბოლის შთაბეჭდილებას და მით უფრო მძლავრ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მას სრულიად საერთო ხასიათი აქვს და სპეკულიანტების მცირე ჯგუფის გამოკლებით მთელს მოსახლეობას მოსდებია. 1917, 18, 19 წლებში ქალაქმა ვენამ იგემა მწარე გაჭირვების მრავალი თვეები, მაგრამ მას იმის წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა დონეს მიღწევა შესძლებია სილატაკეს.» აქ ბრატული ხატავს თფილისის და ბათუმის ქუჩების სურათებს, მათგრობას, გაცვეთილ ტანთ და ფეხსაცმელს, უმუშევრობას, ინტელიგენციის გასაქირს და სხვ. შემდეგ ის აგვიწერს თუ რა დიდი სამხედრო ძალა, რამდენი ჩეკები სჭირიათ ოკუპანტებს საქართველოში ძალა-უფლების შესანარჩუნებლათ, რამდენათ მეტი ჯარი და «ჩინოვნიკები» ყავს «საბჭოთა» მთავრობას დემოკრატიულთან შედარებით.

«თფილისი და ბათუმი შეიარაღებული ხალხით არის გაქედნილი, სოფლები—ეგზეკუციებით მოფენილი. ჩეკას შესწევს იმის ძალა, რომ დამონაგებულ, მაგრამ მებრძოლ ხალხს პირი აუკრას, ხელი შეუშალოს მას ამ დამლუკველ უცხოელთა ბატონობის საწინააღმდეგოთ ძალების შეკავშირებაში. მაგრამ რუსულ სამხედრო დიქტატურას, რომელიც თავის თავს პროლეტარიატის დიქტატურათ ასაღებს, არ შესწევს ძალა სწორედ იმისათვის, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს: არ ძალუძს ხალხის სულიერი და ეკონომიური ძალების ამუშავება და მისი შემოქმედებითი ნიჭის გამოყენება. ვისაც უნახავს თარეში ბოლშევიკურ

რეჟიმისა, რომელსაც საბჭოთა სისტემის სახელწოდება მიუთვისებია, მაგრამ ნამდვილათ საბჭოთა იდეის ნატამალიც კი აღარ შერჩენია, —ის ნაკლები ნდობით შეხედავს ეხლახან მოსკოვში განძრახულ თანამედროვე კაპიტალიზმთან შეთვისების ახალ ცდას. სრულიად წარმოუდგენელია რაიმე სამეურნეო საქმის განვითარება აბსოლიუტურ ძალმომრეობის და უკანტროლობის ატმოსფეროში. მაგ., არავინ უზრუნველყოფილი არ არის დაქერისაგან. 7000 მეტი მუშა, მასწავლებელი, ექიმი, გლეხი, მოსამსახურე მთელი თვეების განმავლობაში სხედან ციხეებში დაუკითხავათ, გაუსამართლებლათ. ჩვენი თფილისში ცოცხის დროს 10, 11 და 12 აპრილს ღამით სრულიად უსაფუძვლოთ დაპატიმრეს 300-ზე მეტი მუშა—სოციალდემოკრატი; მთავრობას ეშინოდა დემონსტრაციების გენუის კონფერენციის წინ, რომელსაც საქართველოში გადამეტებულ მნიშვნელობას აწერდენ ქვეყნის განთავისუფლების საქმეში. არავითარ დემონსტრაციებს არ ჰქონია ადგილი და ამისდა მიუხედავათ დაქერილები ეხლაც ციხეში არიან და ღმერთს დაუმადლებენ თუ ამ წელიწადში თავისუფლების სხივი იხილეს. და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ თანამედროვე მეურნეობის არსებობა, თუ პიროვნება უფლებრივად უზრუნველყოფილი არ არის; განა შეიძლება წარმოვიდგინოთ კაპიტალისტური მეურნეობა—და «ახალ» კომუნისტურ ეკონომიურ კურსის აზრს ხომ ამ მეურნეობის აღმოცენება შეადგენს—იქ, საცა უზრუნველყოფილი არ არის საკუთრება, საცა არ არსებობს თანამედროვე უფლება, კანონიერი საჯარო გასამართლება, სახელმწიფოს მართვის კონტროლი, ე. ი. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოს დაწესებულებები? საქართველოში კი, ნამდვილათ, ყველა ამების კვალიც კი აღარ არის.» აქ ავტორს მოჰყავს ამ დებულების საილუსტრაციო ფაქტები: უთავბოლო, უსისტემო, წვრილმანი, ყაჩაღისებური «სოციალიზაცია», ქვეყნიდან ყველაფრის—პირადი საკუთრებისაც კი—გატაცება, კომუნისტურ პარტიის თვითნებობა და სხვ. შემდეგ ის ახასიათებს საოკუპაციო ადმინისტრაციის სრულს უფიცობას, უუნარობას, ნებუროკრატიზმს—ვეროპიელისათვის პირდაპირ წარმოუდგენელი,




ყოველივე სერიოზული საქმიანობის შემაფერხებელი წესებია შექმნილი ბათუმის პორტში, რომელიც მთელ ამიერ-კავკასიას და რუსეთის სამხრეთ ნაწილს ასაზრდოებს. მარტო ჩეკის ჩხრეკა-ძიება და პასპორტების კონტროლი ართმევს მგზავრს რამოდენიმე დღეს. «დროსა და ფულის დაკარგვა?—ეს ხომ ამ ვაჭბატონებს არაფრათ მიაჩნიათ». არა ნაკლებ შემაფერხებელია ყოველივე ნორმალურ საქმიანობისათვის რკინის გზის უმწველ მდგომარეობა და მასზე გამუფებული «კომუნისტური» წესები. «პრაქტიკულათ საქართველოში მცხოვრებთათვის არ არსებობს რკინის-გზით მიმოსვლა. არ არსებობს აგრეთვე არც ფოსტა; სრულიად არავითარი საფოსტო კავშირი უტყბოეთთან და თითქმის არავითარი შიგნით». იქ არავინ გზავნის ფოსტით წერილს ან ფულს, მცხოვრებთა მახსოვრობიდან აღმოიფხვრა ის გარემოება, რომ სადღაც, თფილისში, ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატი არსებობს. «ფოსტას საზოგადოთ არავინ ანგარიშს არ უწევს და პრაქტიკულად ის მოქალაქეებისათვის არ არსებობს. ეხლა მკითხველმა გასაჯოს შესაძლებელია თუ არა ასეთ პირობებში თანამედროვე მეურნეობის არსებობა».

«მაგრამ ყველაზე უფრო საზარელი ის გარემოებაა, რომ ცველაფერი ეს, რაც ეხლა ქვეყანას აკლია: ნახევრად გაწვრთნილი, მავალეობის გრძობით აღტურვილი სახელმწიფო მოხელეები, მოწესრიგებული რკინის-გზის მიმოსვლა, ევროპიული ტიპის ფოსტა, საქართველოს გააჩნდა და ცველაფერი ეს ძირიანად განადგურებული იქნა არა, მაგ., ომის წყალობით, არამედ რევოლიუციის რუსს სპეციალისტების მიერ. ამ მოსკოვიდან მოსულმა რუსმა რევოლიუციის სპეციალისტებმა მშვენივრად იცოდენ თუ როგორ უნდა მოეწყო საქმე—მათ ამ მხრივ არაფერი უსწავლიათ და არც არაფერი დავიწყნიათ—და მოაწვეს კიდევ სახელმწიფო მოსკოვის მიხედვით, მსხვერპლათ მიუტანეს ქვეყანა, ხალხი, მეურნეობა ერთათ-ერთ პრინციპს, სახელდობრ — კომუნისტურ პარტიის ხელში ძალა-უფლების შენარჩუნებას. აი ამისთვის ასე ხელისხელ საგოგმანებლად გაუხდიათ მილიტარიზმი, ამისთვის უნდა აიტანოს ქართველმა ხალხმა სამოცდაათი ათასი ჯარისკაცის შენახვის სიმძიმე... ამისთვის ასე უსაზ-

ღვროთ გაფართოებულია ჩეკის უფლებები, ამიტომ დაუქვემდებარეს მის უსაზღვრო კონტროლს ყოველივე, რაც ცოცხალი და მოძრავი იყო ამ ქვეყანაში, ამიტომ ჩააყენეს სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვან პოსტებზე სიმწრით გაწვრთნილ მოხელეების მაგიერ მართლმორწმუნე კომუნისტები, რომლებსაც შეიძლება დიდი ნიჭი ქონდათ აჯანყების მოწყობის, მაგრამ გამგებლობის იმ დარგის კი, რომელსაც სათავეში უდგათ, არაფერი ესმით»...

რომც ჩემი შთაბეჭდილებები, აშბობს ბრატალი, აღგილობრივ მდგომარეობის თითქმის ერთი თვის განმავლობაში შესწავლით შექენილი, სარწმუნო არ იცოს, საკმარისია გადავაგელოთ თვალი საბუთათა საქართველოს ფინანსებს, რომლებიც ქვეყნის მდგომარეობის სარკეს წარუადგენენ, რომ დავრწმუნდეთ საერთო დანგრევა-განადგურებაშიო. აქ აეტორს მოჰყავს ცნობები ფინანსთა სახალხო კომისარის, სვანიძის, მოხსენებიდან, საიდანაც სჩანს, რომ ბიუჯეტის დიდი ნაწილი საოკუპაციო ჯარის და ბიუროკრატის შენახვას უნდება. «ცველა იმ მილიარდებს, რომლებიც გადასახადებიდან (ეს გადასახადები ხარჯის მხოლოდ მეოთხედ ნაწილს ფარავენ) შემოდის, ან რომლებსაც ყოველდღიურათ საბეჭდავი მანქანა იძლევა, ცლაპავს სრულიად უნაყოფო სამხედრო და ბიუროკრატული აპარატი. რაცა ჩვენ სვანიძის სიტყვიდან გავიგებთ, რომ სამხედრო სახალხო კომისარიატის ხარჯი 25.610 მილიარდს აღწევს, მაშინ როდესაც ჯანმრთელობის კომისარიატზე, რომელსაც ნახევარ მილიონ მალარიით დაავათმყოფებულთათვის უნდა მოეარა, ამის მხოლოდ მესამედი, სახელდობრ 8.691 მილიარდი იხარჯება, ან რომ მუშათა უზრუნველყოფის საქმეს... მხოლოდ 3.065 მილიარდი ხმარდება, მაშინ ჩვენთვის ნათელი გახდება ამ ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ სახელმწიფოს ნამდვილი ბუნება. და ჩვენთვის აშკარავდება აგრეთვე, რომ ისეთ სოციალურ სხეულისათვის, რომლის საწარმოო ძალები განადგურებულია, რომლის სამართველო ორგანიზაცია მოშლილია და რომელსაც ამას გარდა უზარმაზარი სამხედრო ჯავშანის სიმძიმე აწევს, საკმარისია უმნიშვნელო კატასტროფა, რომ ის ძირიანათ დაინგრეს.»



4. მუშათა კლასის მდგომარეობა.

საბჭოთა საქართველოში მუშათა კლასის მდგომარეობის დასახასიათებლათ ბრაუნტალი ადარებს ავსტრიის და საქართველოს ვალიუტას, სიძვირეს და მუშათა ხელფასს. ავსტრიის კრონა ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოების ფულის ნიშნებზე დაბლა სდგას, ქართული მანეთი კი ავსტრიის მანეთის ღირებულების ერთს მეორმოცედს უდრიდა ამა წლის აპრილის პირველ ნახევარში. ამავე დროს,—და ამ გარემოებას ძლიერ განუცვიფრებია ავტორი— უპირველესი საჭიროების საქონლები საქართველოში გაცილებით უფრო ძვირად ფასობდნენ, ვინემ ავსტრიაში. ის იღებს ერთის მხრით აჭარისტანის სტატისტიკურ ბიუროს ცნობებს, მეორე მხრით ვენის ბაზრის ფასებს და ამტკიცებს, რომ ისეთი უსაჭიროესი საგნები, როგორც პური, ბრინჯი, სიმინდი, კარტოფილი, მწვანელი, შაქარი, ხორცი, კვერცხი,—საერთოდ, 58. 5 პროცენტით უფრო ძვირია ბათუმში (თფილისის ფასები, მისი ცნობით, კიდევ უფრო მაღალია), ვინემ ვენაში. ხოლო სხვა საჭირო საგნების ფასებში განსხვავება კიდევ მეტია.

ეხლა ვნახოთ რამდენად შეეფარდება საქართველოს მუშათა ხელფასი ავსტრიის მუშათა ხელფასს. აქაც ოფიციალურ სტატისტიკის ცნობებით ავტორი ცხად ჰყვამს, რომ საქართველოში პროლეტარიატის უმაღლესი წრეები (ტოკარები, მონტიორები, ელექტრონის სადგურის მუშები, მეტალისტები, ასოთ-ამწელები და სხვ.) და მასწავლებლები საშვალოდ იმდენსაც კი არ იღებენ თვიურად, რამდენიც კვირაში ეძლევა იმავე დარგების მუშებს ავსტრიაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღეს მთელ ცენტრალურ და დასავლეთ ევროპაში ყველაზე ნაკლებ ხელფასს ავსტრიის მუშები იღებენ. ამგვარად, თუ მივიღებთ მხედველობაში ერთი მხრით სანოვაციის და მეორე მხრით ხელფასის განსხვავებას, უდაო იქნება, რომ ქართველი მუშის რეალური ხელფასი შეადგენს მხოლოდ ერთს მეჩვიდეს ავსტრიის მუშის ხელფასისას. ეს ცნობები დადასტურებულია ამონაწერით ფინანსთა კომისარის, სვანიძის, 2 მოხსენებიდან.

ბრაუნტალისთვის გაუგებარია, როგორ უძლებს ქართველი მუშა მისი ცხოვრების ამგვარ

დაქვეითებას, ის ქართველი მუშა, «რომელიც შეჩვეულია ერთგვარ ევროპიულ ცხოვრების დონეს. ამიტომ ის ინდოელ ან ჩინელ კულიზე შეუდარებელიც მაღლა სდგას. რ სულ მცირე ხნის განმავლობაში ის ამ კულის ცხოვრების პირობებამდე ჩამოაქვეითეს.» აქ ავტორი ასწერს დენერტირების ბაზარის ყოველდღიურ სურათს, რომელიც წარმოადგენს ქართველი მუშების და ქართველი ინტელიგენტის გალატაკების საჩვენებელს. არა ნაკლებ საზარელ სურათს წარმოადგენს ქუჩაში მათხოვრობა; ქუჩები ავსებულა ბავშვებით, რომელნიც დაბზიან დილიდან საღამომდე ლუკმა პურის საშოვნელად.

«და თუ ნორმალური ხელფასი არ არის საკმარისი უპირველეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, ამბობს ბრაუნტალი, უმუშევრობა ან დაპატიმრება—და საქართველოში ირივე დასიური მოვლენაა—ხომ უსაშინელესი კატასტროფა უნდა იყოს ოჯახისათვის. მუშაობა მუშას ყოველდღიურათ ერთი გირგნაქა პურს მიანიჭებდა, უმუშევრობა კი მუშას ართმევს არა მარტო ხელფასს, არამედ ყოველგვარ უფლებას «უღუფაწე», რადგანაც საბჭოთა საქართველოში არ არსებობს არავითარი წარუხეხადი უმუშევართათვის. უმუშევარმა პურში სრული დასი—ე. ი. გირგნაქაში, დაახლოებით 10, 000 მან. უნდა გადაიხადოს. ხოლო თუ ის დაიჭირეს, მაშინ გარდა იმისა რომ ოჯახს მისი ხელფასი ერთზევა, თვით ოჯახმა უნდა იზრუნოს ციხეში მის გამოკვებაზე. მე იმის თქმა არ მინდა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება განზრახს, შურისძიების მიზნით (ამაშიაც სდებენ ბრალს ხელისუფლებას) ამშვედეს პოლიტიკურ ტუსაღებს. თავისთავათ ცხადია, რომ ის მთავრობა, რომელიც, მაგ., თავის მასწავლებლებს და ექიმებს მთელი თვეების განმავლობაში ვერ აძლევს გასამჯელოს... პოლიტიკურ ტუსაღების გამოკვებაშიაც ამგვარ ხელმომჭირნეობას გამოიჩენს. და ასე, ოჯახმა და მეგობრებმა უნდა იზრუნონ დაჭირებულზე. რამოდენიმე თვის დატუსაღება—და 7,000 მეტმა მუშამ იგემა ეს საქართველოში—ტუსაღის ოჯახს სრულ დალუპვას უქადის.»

მუშათა კლასის საშინელ გალატაკების სურათით აღვლევებულ ბრაუნტალს მიუმართავს «ტრიბუნის» რედაქტორ, ბ. თ. ლონტისათვის, რომელსაც მისთვის ინტერვიუ გაეკეთებია.



ბრაუნტალი სწერს: «მე მივმართე მას მუდარით —ეჩვენებია ჩემთვის ამ უსაზღვრო და უნუგე- შო გაჭირვების ზღვაში ერთი, მხოლოდ ერთი ნათელი სხივი.—თქვენ—ასე ვეუბნებოდრი მე მას —აიღეთ თავისთავზე გამოუსყიდავი ცოდვა სოციალიზმის წინაშე: ძალადობის საშუალებით დაიპყარით თავისუფალი, დამოუკიდებელი ხა- ლხი. თქვენ გააძვევთ ქვეყნიდან სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, რომელიც საქართვე- ლოს მშრომელმა ხალხმა აირჩია საყოველთაო, თანასწორი და საიდუმლო არჩევნების წესით. მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს მუშათა კლასის დიდი უმრავლესობა გადაჭრით ემხრო- ბოდა მენშევიზმს, თქვენ მას ძალით მოახვიეთ თავს ბოლშევიზმი. ყველაფერი ეს თქვენ ჩაი- დინეთ, თქვენის სიტყვით, იმისათვის, რომ ქარ- თველი მუშათა კლასი სოციალიზმის სამეფოში შეგვეყვანათ, და აი, მე თქვენ გემუდარებით: რომ მე თქვენდამი ყოველივე რწმენა არ დავ- კარგო, მიჩვენეთ ერთი რომელიმე, თუ გინდ ერთად-ერთი თქვენი სოციალისტური საქმე!... აქ, საქართველოში მე სანი კვირის განმავლო- ბაში გაფაციცებით ვეძებდი ისეთ რამეს, რაც შექლებას მომცემდა შევრიგებოდრი ბოლშე- ვიზმს. შეიძლება, ვფიქრობდი მე, როცა თით- ქმის ყოველივე იმედი დამეკარგა, შეიძლება ეს იყოს თქვენი კულტურული მუშაობა. და აი, მე შევიტყვე, რომ მთელი თვეების განმავლო- ბაში მასწავლებლები უჯამაგიროთ რჩებიან და ამიტომ იძულებული არიან მთელი დღეებით მოსწყდენ სკოლას, რომ შავ სამუშაოთი პუ- რის ლუკმა იშოვონ; შევიტყვე, რომ ზამთრის უდადეს ნაწილში სკოლები გაუთბობელი რჩე- ბოდა... რომ ზოგიერთ სოფლებში, (როგორც მაგალითად ქედაში, საცა მე ამაში პირადათ დავრწმუნდი) სკოლები ჯარის კაცების ბინათ გადაუქცევიათ,... რომ მრავალ და მრავალ სოფლებში სკოლებში მაცადინება სრულიად შეჩერებულია, ვინაიდან ბევრი მასწავლებლები, რომელთაც მაისის შემდეგ ჯამაგირები არ მიუ- ღიათ, სოფლებიდან დიდი ხანია გაქცეულან.— გარდა წითელი ვარსკვლავისა რუს ჯარის კა- ცების ჩაფხუტზე, რაში უნდა დავინახო მე სოციალიზმის ნიშანწყალი საქართველოში?— ამ სიტყვებით ვეკითხებოდრი მე ლლონტს. მან ვერ უარყო მუშათა კლასის და საქართველოს უმწყო მდგომარეობა. ის იძულებული იყო

დაედასტურებია ყველა ჩემმიერ მტყუნისძისჯაბ ქტები: «და მიუხედავათ ამისა»—ასე მიპასუხა მან გაკვრით, «ყოველგვარ ეკონომიურ გაჭი- ვრების მიუხედავათ, ბოლშევიზმი წინსვლას მოასწავებს მენშევიზმთან შედარებით. ვინაი- დან, თუ ბოლშევიზმმა ვერ შესძლო მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება, ერთი რომ მაინც მოუტანა მან მუშათა კლასს: სახელდობრ თავისუფლება.» ხლო რას წარ- მოადგენს ეს ბოლშევიზმის «თავისუფლება», ამას შევიტყვოთ შემდეგი წერილიდან.»

**თავისუფლება ეკლიან მავთულის წრეში.**

«ბათუმის ნავთსადგური სადაც გემები ად- გებიან, ერთიანათ გარს შემორტყმულია ეკლი- ან მავთულით. გემიდან ჩამოსასვლელ კარებსა და ამ ეკლიან მავთულის წრიდან ორ გასასვ- ლელს დღიან-ღამიანათ სასტიკათ სდარაჯობენ შეიარაღებული წითელარმიელები. არავის არ შეუძლია ეკლიან მავთულის წრეს გასცილდეს, ან გემზე ავიდეს, თუ ამისათვის სანაპირო ჩე- კის განსაკუთრებული ნებართვა არ აქვს.» შე- მდეგ აწერილია ჩეკას დაუსრულებელი კონტ- როლი და მომბებზრებელი ჩხრეკა წამსვლელ-წა- მომსვლელების. «კომუნისტურ თავისუფლების მთავრობა არ ზოგავს არც მოხერხებას, არც ხარჯს, რომ საქართველოს და კავკასიის გან- თავისუფლებულ პროლეტარიატს აღეკვეთოს ყოველგვარი კავშირი «მოწამლულ» ევროპას- თან. ბათუმის პორტის ეკლიანი მავთულის წრე, რომელსაც მოუწყვეტია კავკასია ევროპასა და კულტურულ ქვეყნიერებისაგან, ნამდვილი სიმ- ბოლოა იმ თავისუფლების, რომელსაც ეტრფის ბოლშევიზმი.»

შემდეგ ბრაუნტალი საკვირველი სისწორით აგვიწერს ბოლშევიკურ ხელისუფლების მექა- ნიზმს საქართველოში; «საქართველოს რევოლ- მის» წარმოშობას, მის სრულ დამოკიდებულე- ბას მოსკოვისა და რუსულ წითელარმიისაგან, ასწერს სხვა და სხვა ჯურის ჩეკებს, მათს უსა- ზღვრო თვითნებობას ე. წ. მუშების, გლეხ- ბის და წითელარმიელების საბჭოების არჩევნე- ბის წესს საქართველოში და სხვ. მას არ გა- მორჩენია არც კომუნისტურ პარტიის ძალმო- მრეობა, პრესის მონოპოლია, სხვა პარტიების და მთელი ხალხის უუფლებობა და დევნა. «ამის შემდეგ, დაასკვნის ავტორი, ვინ შე- იტანს, თუნდაც ერთის წუთით, იჭვს იმაში»



რომ საქართველოში «პროლეტარიატი» მეფობს? საუბედუროთ, ევროპიელი მუშები, რომელთაც ყოველშემთხვევაში სულ სხვა წარმოდგენა აქვთ თავისუფლებასზე, შეპყრობილი არიან ბურჟუაზიული ცრუმორწმუნოებით.

«ამგვართ, საქართველოში გამედებულისა» დიქტატურა.» როგორც ჩვენ დავინახეთ ამ დიქტატურას რაც გინდა დაერქმევა, გარდა პროლეტარიატის დიქტატურისა, ნამდვილად ეს არის დიქტატურა პროლეტარიატზე. კომუნისტურ პრესაზე გაცილებით უფრო გულწრფელი იყო ბატონი ჩინჩინი გენუაში, რომელმაც ამ რეჟიმს «სამხედრო დიქტატურა» უწოდა...

ბრუნტალი იგონებს თფილისში სახელმწიფო თეატრის დარბაზში 1920 წლის 10 აპრილს სოც.-დემ. პარტიის კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციას, რომლითაც ამ პარტიამ განაცხადა თავისი სურვილი ლეგალურ მოღვაწეობის, არჩევნებში მონაწილეობის და სხვა. და აღნიშნავს თუ როგორ აიძულა ეს პარტია საოკუპაციო ხელისუფლებამ არალეგალურ მოქმედების გზას დასდგომოდა, როგორ დაარღვია მან სამჯერ განცხადებული საყოველთაო ამნისტია და შეუდგა ტერორს, ზვრეტას და დაპატიმრებას. წერილში ჩამოთვლილია დემოკრატიულ მთავრობის იმ ოფიცერთა და მოხელეთა გვარები, რომლებიც საოკუპაციო მთავრობამ დახვრიტა მხოლოდ იმისთვის, რომ ისინი ქვეყნის დაცვაში, ან მართვა-გამგეობაში მონაწილეობდნენ. (ლექვინაძე, ფავლენიშვილი, მარკოზაშვილი და სხვები.) ბოლოს ის აცნობს ევროპიელ მკითხველს რამოდენიმე ძველ რევიოლიუციონერს, სოციალიზმის და რევიოლიუციის მოღვაწეებს საქართველოში, რომელნიც კომუნისტურ ხელისუფლებას დაუკითხავათ, გაუსამართლებლათ ჩაუყრია ციხეში და რომელთა ერთად ერთი დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არიან შეუდრეკელი მებრძოლი სოციალიზმისა და ერის თავისუფლებისათვის; ის ახასიათებს მოკლედ განსვენებულ სილ. ჯიბლაძეს, პარმენ ჭიჭინაძეს, ისიდორე რამიშვილს, ალექსანდრე დგებუაძეს, ზაქარია გურულს, ლადიმერ ჯიბლაძეს, გრ. ლოთჯიფანიძეს, ალექსანდრე ლომთათიძეს, გიზო ანჯაფარიძეს და სხ. 7,000 ქართველი მუშა ზის ჩეკა-ციხეებში. ერთად ერთი საბუთი მათი დატუსაღებისა იმაში მდგომარეობს, რომ «ძალადობისაგან შობილ

ბოლშევიზმს არ შეუძლია არსებობა... ბის გარეშე.»

«მე ველაპარაკე მრავალ სოციალ-დემოკრატ მუშებს და დავესწარი ფარულ პარტიულ ღამის კრებებს თფილისში და ბათუმში, განაპირა მუშათა უბნებში, მუშათა დაბნელებულ ბინებზე; იქ იცნენ ჩვენი ამხანაგები და ძმები, რომელთაც ზვერავს ჩეკა, რომელთაც მხოლოდ «მიწის ქვეშ» შეუძლიათ ცხოვრება, რომლებიც დღე დამალული არიან და ყოველ ღამე იცვლიან ბინას დაქერის მოლოდინში, რომლებიც მტკიცე ერთგულთა ემსახურებიან სოციალიზმს, რომელიც ასე წაბილწეს საქართველოში, და გულ-გაუტეხელად მოვიდნენ, რომ ევროპის მუშათა კლასი მათ არ დაივიწყებს. ბოლშევიკურ «თავისუფლებას» მე გავეცანი იმ ათასი მაგალითით, რომელიც მე მუშებმა ამიწერეს. და როცა მე აღდგომა ღამეს თფილისელ ამხანაგებს ვემშვიდებოდი, არსენალის ერთმა ჭადარა მუშამ ეს ღრმით ამალელებელი სიტყვა მითხრა: «საზარელია ჩვენი ტანჯვა, ჩვენ ვიღუპებით გაჭირებისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო საზარელი ის არის, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ქვეყნას ეამცნოთ ჩვენი ტანჯვა, ჩვენ ცოცხალი ლეშივით ვართ...»

პირველად საქართველოში დავინახე მე სრულიად ნათლად, რომ ევროპის სოციალიზმის წინაშე დგას არჩევანი ბოლშევიზმსა და მუშათა კლასს შორის: ან ერთი ან მეორე. მათი შერიგება შეუძლებელია.

ბოლშევიზმის «თავისუფლება»—ეს არის უსაშინელები დესპოტიური ბატონობა, რომელიც კი ოდესმე აუტანია პროლეტარიატს.»

**6. როგორ განდა საქართველო კომუნისტური?**


... «როცა 1919 წლის მარტში ბუდაპეშტში გამოცხადდა საბჭოთა დიქტატურა, ავსტრიის პროლეტარიატს მიმართეს მოთხოვნით—ისიც აჯანყებულიყო და შეერთებოდა უნგრეთის საბჭოებს. ავსტრიის მუშათა კლასმა—სახელმწიფო მუშათა საბჭოს სახით—უკუაგდო ეს წინადადება. მაშინ უნგრეთის კომუნისტები შეეცადნენ სხვა გზით გაეხორციელებინათ თავისი მიზანი. ვენა აივსო უნგრეთის ფულით (ეს საჯაროდ ცხადჰყო ბეტელჰეიმის მოხსენებამ და კომუნისტურ პარტიის კომისარის ფორსტის მოხსენებამ კომუნისტურ პარტიის მეორე ერთი

ლობაზე) და უნგრეთის აგენტებით, რომელთაც უნდა მოეხდინათ აჯანყება უნგრეთის სასარგებლოდ. აჯანყებისათვის დანიშნულ დღის წინაღობის შეიკრება ვენის რაიონის მუშათა დელეგატების საბჭო და ხმის დიდი უმეტესობით გადაჭრით განაცხადა, რომ მას არავითარი საერთო არ აქვს კომუნისტების მიერ დაწყებულ ავანტიურასთან. ამან ჩაშალა განზრახული აჯანყება. რას იტყოდნენ ვენის მუშები, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ უნგრეთის კომუნისტებს აღმოსავლეთ შტირიის მიკრუბულ სოფელში მოეწყობათ, ასე ვთქვათ, «აჯანყება», ეს უნგრეთის წითელ არმიის შენობასვე საბაბათ გამოეყენებიათ და შემპრილიცვენ ჯერ შტირიაში სემერინგის გზით, დაეკროთ ვენის ნეიერშტადტი (ვენის განაპირა უბანი, როგორც, ვთქვათ, ნავთილუი), მოსდგომოდნენ ვენას, მრავალი დღის სისხლიან ბრძოლების შემდეგ ეს ქალაქიც ხელში ჩაეგდოთ, ვენაში და მთელს ავსტრიაში უნგრეთის სამხედრო დიქტატურა დაემყარებიათ, სოციალ-დემოკრატიული მოღვაწეები ციხეებში ჩაეყარათ და ავსტრიის მუშათა კლასი იარაღის საშვალდებით დაემონაწვებიათ? სწორედ ასეთი რამ ჩაიდინა კომუნისტურმა რუსეთმა სოციალ-დემოკრატიულ საქართველოს მიმართ. და კიდევ მეტი! ავსტრიასა და საბჭოთა უნგრეთს არ დაუდვიათ ურთიერთშორის დამოკიდებულების მოსაწესრიგებლათ რაიმე ხელშეკრულება.» მათ არ უცნიათ ერთმანეთის სუვერენობა. 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით კი საბჭოთა რუსეთმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ტერიტორიის ხელშეუხებლობა. ბრაუნტალს მოჰყავს რუსეთ-საქართველოს (1920 წლის 7 მაისის) შორის დადებული ხელშეკრულების სათანადო კუნქტები და განაგრძობს—ამ ხელშეკრულებით დაიმედებულმა საქართველოს მთავრობამ 1920 წლის ზამთარში მოახდინა ნაწილობრივი დემობილიზაცია, მოხსნა ნაღმები ფილოლს ხიდზე, შეამცირა ჯარი დარიალის ხეობაში და სხვა. ამავე დროს რუსეთმა დიდძალი ჯარი დააგროვა საქართველოს საზღვრებზე. ავტორი დაწვრილებით ჩამოთვლის იმ აუარებელ ჯარის ნაწილებს, რომლებიც რუსეთმა 1921 წ. თებერვალში საქართველოს წინააღმდეგ გამოიყვანა, ასწერს რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმებულ მოქმედებას ჩვენი რესპუბლიკის წინააღ-

მდეგ და ბოლშევიკური წყაროების საშუალებით ააშკარავებს ნამდვილ სახეს იმ «აჯანყებისას», რომელიც ბოლშევიკებმა მოაწყვეს ლორში. მას მოჰყავს მე 11 არმიის ორგანოდან, «კრასნი ვოინიდან», ლორის «აჯანყების» ერთ-ერთი მომწივბთავანის, კომუნისტ ბორისოვსკის, მოთხრობა, რომელშიაც აშკარადაა ნათქვამი, რომ ეს «აჯანყება» მოწყობილი იყო მოსკოვის და წითელი არმიის აგენტების მიერ, რომ თვით ლორშიც «საბჭოების ბატონობა ძღვევამოსილმა საბჭოთა არმიამ დაამყარა.»

«ამნაირად,—ამბობს ბრაუნტალი,—ბორისოვსკი არ მალავს, რომ თავისთავად უნნიშვნელო «აჯანყება» მოაწყვეს მოსკოვის მთავრობის სამსახურში მყოფმა კომუნისტებმა, რომ მას მიეშველენ და ხელმძღვანელობდნენ საზღვარზე მოგროვილ ჯარის ნაწილები; ბორისოვსკი იმასაც კი არ მალავს, რომ აჯანყებულები იძულებულ იყვნენ მთებში გაქცეულიყვნენ, როგორც კი ქართველი ჯარები გამოჩნდნენ; უეჭვო და უდაოა, რომ «აჯანყება» მოაწერეს მთავრობამ, რომელმაც საჯაროთ აღუთქვა საქართველოს მის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა, მოაწერა იმ ერთად-ერთი მიზნით, რომ ევროპის პროლეტარიატის საზოგადოებრივ აზრის თვალის ასახვევად შეექმნა ვითომდა საბაბი საქართველოს შინაურ საქმეებში ჩასარევათ და ქვეყნის თავისუფლების მოსახსობათ.

«ამგვარად მოქაზარაკებული «აჯანყება» დაიწყო სომხეთის საზღვარზე. რა სახე ჰქონდა აჯანყებას მეორე მიმართულებით—აზერბეიჯანის საზღვარზე, ფილოლს ხიდთან, თფილისიდან 100 კილომეტრის მანძილზე»,—ამას ბრაუნტალი ასწერს «კრასნი ვოინის» სამხედრო კორესპონდენტის, წითელ-არმიელი ნუსის მოთხრობით. ნუსი დაწვრილებით ხატავს ფილოლს მხრიდან წარმოებულ სამხედრო მოქმედების სურათს, ჯავშნიან მატარებლების და ტანკების მუშაობას, თფილისზე შეტევას 24 თებერვალს დილით, ქართველი ჯარის სასტიკ წინააღმდეგობას: «ღირსეულ მტერს, სწერს ნუსი («კრასნი ვოინ», 1921 წ. 24 მარტის №2), ქართველები მძიმე გაუბიციების გამანადგურებელი ცეცხლით შეხვდნენ. ვეებერთელა მდეგები (ტანკები) ერთწუთს შეკრთნენ, როცა მძიმე ჭრილობები იგრძნეს. მაგრამ ადამიანის ნების-



ყოფამ სძლია მათ და ისინიც გაექანენ წინ.»  
ეს აწერილობა შემდეგი სიტყვებით თავდება:

«მტრის წინააღმდეგობა გატეხილია. მან  
უკან დაიხია და ჩვენ, ძლევამოსილნი, ჯავ-  
შნიან მატარებლებზე, ინტერნაციონალის სი-  
მღერით, პირველნი შევდივართ თფილისში».

«ებლა გავიხსენათ—ამბობს ბრაუნტალი—  
როგორ აუწყებდა როსტა ვეროპას ამავე ამბავს?

«ქართული რევკომი ამცნობს ქვეყანას,  
რომ რევოლიუციურმა ქართველმა მუშებმა  
და გლეხებმა თფილისი დაიკავეს.»

«ჩვენ ვნახეთ—განაგრძობს ბრაუნტალი—ამ  
«რევოლიუციონურ ქართველ მუშების და გლე-  
ხების» მუშაობა ზარბაზნებთან, ტანკებზე და  
ჯავშნიან მატარებლებზე. მრავალ რუსთა და  
ქართველ ჯარისკაცთა საფლავებზე გაისმა ზარ-  
ბაზანთა გრიალთან ერთად ინტერნაციონალი,  
ეს უწმიდესი სიმღერა პროლეტარულ სოლი-  
დარობისა—საქართველოს მუშათა კლასის თა-  
ვისუფლებისა და დამოუკიდებლობის განადგუ-  
რების სადიდებლად...

აი როგორ გახდა საქართველო ბოლშევი-  
კური...

პირველი ინტერნაციონალის დაარსებისას გა-  
მოცემულ ადრესში, რომელიც ამავე დროს  
წარმოადგენს ამ ინტერნაციონალის პროგრამას,  
თანამედროვე სოციალიზმის შემქნელი, კარლ-  
მარქსი, გამოსთქვამდა ცხარე პროტესტს კავ-  
კასიის პირველ დაპყრობის წინააღმდეგ ცარი-  
ზმის მიერ. ის სწერს:


«ის უტიფარი ტაშისცემა, ის პირმოთენე  
სიმპატია ან იდიოტური გულგრილობა, რომ-  
ლითაც ევროპის უმაღლესი კლასები შეს-  
ცქეროდნენ რუსეთის მიერ კავკასიის მთების  
სიმაგრეების დაპყრობას, საზარელი, ქვეყნის  
მიერ გულგრილად ატანილი ძალმომრეობანი  
ამ ბარბაროსული ძალისა, რომლის თავი  
სანკტ-პეტერბურგში იმყოფება, ხოლო ხე-  
ლები ევროპის ყველა კაბინეტებს სწვდე-  
ბა,—მოვალეობას ადებენ მუშათა კლასს  
გაიცნოს საერთაშორისო პოლიტიკის საი-  
დუმილობანი, თვალყური ადევნოს—თა-  
ვიანთ მთავრობების დიპლომატიურ მო-  
ღვაწეობას, საჭიროების დროს მთელი თავი-  
სი ძალდონით წინააღმდეგს ამ მოღვაწეობას

და თუ ეს არ ძალუძს—გაერთიანებული  
ლით ერთდამავე დროს აღიმაღლოს თავისი  
ხმა და შეეცალოს ერთა შორის ურთერთ-  
ბის უმაღლეს მამწესრიგებელ კანონებათ  
გახადოს ზნეობის და უფლების ის მარტივი  
კანონები, რომელნიც უნდა აწესრიგებდნენ  
კერძო პირთა ურთიერთ შორის დამოკიდე-  
ბულებას».

«ამგვარ საერთაშორისო პოლიტიკისათვის  
ბრძოლა,—განაგრძობს მარქსი—შედის მუშათა  
კლასის საერთო გამანთავისუფლებელ ბრძო-  
ლაში». და მეორე ადგილას ის შემდეგს  
სწერს:

«თუ სხვა და სხვა ერების მუშათა კლასის  
განთავისუფლება მათ ძმურ თანამშრომლო-  
ბას მოითხოვს, როგორ შეიძლება მიღწეულ  
იქნეს ეს დიადი მიზანი იმ საერთაშორისო  
პოლიტიკის საშვალებით, რომელიც მდებალ  
მიზნებს ემსახურება, ეროვნულ ცრუმორწმუ-  
ნოებებით სარგებლობს და აჩაღურ ომებში  
ანთხევს და ანადგურებს ხალხის სისხლს და  
ქონებას?»

მოსკოვის კომუნისტებმა, რომელთაც თავისი  
თავი მარქსის ერთადერთ ნამდვილ შემკვიდ-  
რებათ მოაქვთ, სოციალისტურ საგარეო პო-  
ლიტიკის ეს ძირითადი დებულებაც ისე შელა-  
ხეს, როგორც სხვა მრავალი სოციალისტური  
პრინციპები. მაგრამ ევროპის ქეშმარიტი სო-  
ციალისტური პროლეტარიატი არასოდეს არ  
უნდა შეურიგდეს იმას, რაც კომუნისტების  
უფარგლო სინდისისათვის მისაღები გამხდარა.  
საქართველოში სცხოვრობს ცარიზმის წინა-  
აღმდეგ მრავალ ათეულ წლების განმავლობა-  
ში სახელოვან ბრძოლებში გაწვრთნილი პრო-  
ლეტარიატი, ერთ დროს რუსეთის სოციალიზ-  
მის ავანგარდი, რომელიც ებლა ევროპის პრო-  
ლეტარიატს შეჰკურებს და მოითხოვს მისგან  
თავისი განმთავისუფლებელი ბრძოლისათვის  
მხარის დაჭერას. ის დღეს შეუბოჰკავს რუსის  
არმიას, მისი ხელმძღვანელები ციხეებში იტან-  
ჯებიან. თავის-თავის ამარა დატოვებული, ის  
უძლურია და დაილუპება. ის ემუდარება, არა—  
ის მოითხოვს ევროპის პროლეტარიატისაგან,  
რომ ამ საზარელ ტანჯვასა და მონობაში არ  
იქნას მისგან დავიწყებული.»



# გეგაუცია თვილისის მხარეში.

გასული წლის გიორგობისთვეში ორი პოლ-  
კი წითელ-არმიელები თავისი ცხენებით სახლე-  
ბში ჩაუსახლეს მცხოვრებთ—სართიჭალაში,  
ხაშში, პატარძელში, ნინოწმინდაში, საგა-  
რეჯოში და გიორგიწმინდაში. მცხოვრებნი აი-  
ძულეს, როგორც წითელ-არმიელებისათვის, ისე  
მათი ცხენებისათვის საკვები ეძლიათ, და ეს იმ  
დროს, როდესაც თვით ხალხს არაფერი გააჩნდა.  
ყველა ამ სოფლებში წითელ-არმიელების მიერ  
გახშირდა ქურდ-ბაცაცობა, ცარცვა-გლეჯა.  
თუ ვინმე მათ წინააღმდეგობას გაუწევდა, ხელ-  
ფეხს უკრავდნენ და თოფით ემუქრებოდნენ. ბე-  
ლლებს და მარნებს ამტვრევდნენ, ტომრებით  
პურს, სიმინდს და სხვას იპარავდნენ, ქვევრე-  
ბიდან ღვინოს იღებდნენ, სახლებ-დან საცვლები,  
ფარდაგ-ხალიჩები და სხვა გაქონდათ. არმიე-  
ლებმა თავისი ცხენებს შეაქამეს თივა, რის გამო  
ხალხს მარჩენალი საქონელი სიმშვილით დაეხო-  
ცა. სოფელ სართიჭალაში მათ საბძელში მო-  
კლეს ერთი მცხოვრებთაგანი, რომელიც თივას  
არ ანებებდა; გაბრაზებულმა მცხოვრებლებმა  
ამის გამო მოკლეს ორი წითელი არმიელი; გა-  
იგეს თუ არა ეს ამბავი არმიელებმა, სოფლის  
ყველა ახალგაზრდები შეამწყვდიეს ეკლესიის  
ეზოში, დაუდგეს ტყვიისმუქრველები და მოს-  
თხოვეს მკვლელების გაცემა. მცხოვრებლებმა  
საჩქაროდ ორი დღეგატი აფრინეს თჳილისში  
და ეს ამბავი აცნობეს მთავრობას. მთავრობის  
წარმომადგენელები ავტომობილით მობრძანდნენ

ისე შეაჩიზლეს ჯარის-კაცებმა ხალხს თავი,  
რომ ყველგან ისმოდა ხმა: «ვინც ეს მგლები  
ჩვენში შემოიციანა ისინი შამფურზე უნდა ავა-  
გოთ და ნელ ცეცხლზე შევწვათ.» ხალხის და-  
ვალეებით მთავრობასთან საშუამდგომლოთ გაგ-  
ზავნილ იქმნა ერთი მღვდელი, რომ წითელ-არ-  
მიელები ან აელაგმათ, ან სადმე წაეყვანათ.  
მღვდელმა მოახსენა მთავრობას ცველაფერი სი-  
მართლე. მას ეგონა, როგორც ხალხს, ისე მთავ-  
რობას სამსახურს გაუწევდა და დაიხსნიდა ქვე-  
ყანას მოსალოდნელ უბედურებისაგან; მაგრამ მა-  
დლობის ნაცვლათ მღვდელი ჩაადგეს ჯერ ჩეკის  
სარდაფში და ამ ქამათაც ზის მეტეხის ციხეში.  
დადგა გაზაფხული, მაგრამ წითელ-არმიელების  
შიშით მინდორში სამუშაოთ არავინ მიდიოდა.  
ამ ყაჩაღების ანაბარათ ცოლ-შვილის, სახლ-  
კარის და სარჩო-საბადებელის დატოვება შეუ-  
ძლებელი იყო. მხოლოდ, როცა აპრილის პირ-  
ველ რიცხვებში გაიყვანეს ჯარი, მაშინ გავი-  
და ხალხი მინდვრათ.

სოფლის მასწავლებლები და სხვა მოხელენი  
სამი-ოთხი თვეობით ვერ იღებენ ჯამაგირებს,  
იმ დროს, როდესაც ათასობით უდანაშაულო  
პატიმრებზე აუარებელი ფული იხარჯება. ქა-  
რთველებზე არა ნაკლებ გაუმწარეს სიცოცხლე  
წითელ-არმიელებმა რუსებს. სოფელ მალხაზო-  
გის მცხოვრებნი, რომლებიც ნატრულობდნენ  
ბოლშევიკების შემოსვლას, დღეს ისე არიან  
გაბრაზებულნი წითელ-არმიელებზე და საზო-  
გადოთ ბოლშევიკებზე, შექმნილი სიდუხჭირის  
გამო, რომ მენშევიკების მოსვლას მახანსავით  
ნატრობენ.

## სოფელი.

დღეს მსოფლიოში მთელი მსოფლიო იმე-  
სათუ. რომელს მგებდა მანტოლეონ—ან  
იმს მსოფლიოთს—ოპიონისაოტეს. მომკიც  
—ონ ტოტანოუსითუ—მანტოტოტონს—ოპიონ  
—იგის იუღონ მოტუ მინტოტოტეს, მანტოტოტე  
მანტოტოტეონ ნი მტეფუტეამოტო ტომოტოტეს ის



# ერთი საიდუმლო მოხსენების გამო.

ქვემოთ ვბეჭდავთ ფ. მახარაძის მოხსენებას რუს. კომპარტიისადმი.

თავისთავათ ეს არის დაქირავებული, ერთ-გული ყმის მოხსენება თავის მრისხანე მბრძანებელის წინაშე. ეს არის თავის მართლებასუსტი მოსამსახურის, რომელმაც დავალება სწრაფად და სისწორით ვერ ასრულა, ბატონს ვერ ასიამოვნა, დაბოლოს ეს არის დაბეჭდება და განქიქვა თავის უფრო მოხერხებული მეტოქის. ერთი სიტყვით მასში თავმოყრილია ყველა ის, რაც დაქირავებულ მოღალატეს და დაავთმყოფებულ შინაყმურ თავმოყვარეობას ახასიათებს.

ცხადია ამ თვისებათა გამო ის, ვერ გახდებოდა მაინდამაინც ჩვენი ყურადღების ღირსი.

მაგრამ მასში არის კიდევ ერთი რამ. განაწყენებული და დაწუნებული მონა ერთნაირის, გასაგები გულახდილობით მოგვითხრობს იმას, თუ რა დაავალეს მათ ბატონებმა მოსკოვიდან საქართველოს შესახებ, რა გააკეთეს მათ, და რატომ არ მიეცა ნაცოდინება მათ ნამუშევარს.

ყველა ეს კი მეტათ საყურადღებოა, რადგან ფარდას ხდის იმას, რაზედაც დღემდე დაობდნ ბოლშევიკური აგენტები ევროპაში, და რასაც აწრიპინებენ საქართველოს თუ ევროპის მოსყიდულ კომუნისტურ პრესის კალმონები.

რას ამბობს ეს დოკუმენტი?

პირველათ იმას, რომ კომუნისტებს გადაწყვეტილი ქონდათ საქართველოს დაპყრობა და მისი შეერთება რუსეთთან. რომ ამ მიზნით იქნა მოწყობილი შემოსევა წითელი ჯარის, და დანგრევა დემოკრატიული რესპუბლიკის. ამ დოკუმენტიდან ჩვენ ვტყუბობთ, რომ ქართველ კომუნისტების ლაპარაკი დამოუკიდებელ საქართველოზე იყო განზრახ შეთხზული მატყუარობა, ხალხის თვალის ასახვევით და მათი გულის მოსაგებათ. გამოგონილი, რომ დავა სწარმოებდა ნამდვილათ მათ შორის არადამოუკიდებლობის, არამედ მისი უკეთ დასამარების საშვალებათა გარშემო, რომ მოღალატეობა ერის და მიღება იუდის სასყიდლის ყველა მათგანმა სიანოვნებით იკისროს.

მაგრამ აქვე ირკვევა მეორე გარემოებაც. ის, რომ ქართველ ერს ამ უღირს შეიღების სამარცხვით გულის წადილი საშინლათ გაუტყუე-

ბია. იგი სამი წლის დამოუკიდებელ არსებობის განმავლობაში ისე საბუთიანათ «მოწამლულა» დამოუკიდებლობის ბაცილებით, რომ მისი «განკურნება» შეუძლებელია. ამას ამბობს თვით ის, ვინც ყველაზე უკიდურესი და სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ დამოუკიდებლობის.

ავტორი იძულებულია დაამოწმოს აგრეთვე, რომ კომუნისტებს არც პარტიულათ ქონიათ რაიმე ნიადაგი საქართველოში; მათ შემოსევის ხანაში არც პარტიული იაჩივები გააჩნდათ, არც ისეთი ცალკე წევრები მოეპოვებოდათ, რომ მართველობის გაძლოა შესძლებოდათ, რომ ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ ცაჩაღურ და გარეწარ ელემენტებს დაგრდნობოდნ.

ავტორი ვერ მალავს იმასაც, რომ ხალხმა მათი არც სიტყვა იქამა და არც საქმე, მით უმეტეს არ იქამა ის აშკარა ძალმომრეობის და დამოუკიდებლობის გაუქმების შემდეგ, რომელიც გამოიხატა ყალბ არჩევნების და ფედერაციის შექმნის საკითხში.

არ გაუნართლდათ ბოლშევიკებს არც იმის იმედი, რომ ხალხი გადატრიალების შემდეგ მაინც აყვებოდა მათ აგიტაცია-პროპაგანდას. ხალხმა მათ ზურგი აქცია. და ის, რაც მათ მოიპოვეს იყო მხოლოდ სიძულვილი, მტრობა და წინააღმდეგობა ოკუპანტებისადმი. ეს ხალხი ერთიანათ გაიქვენთა «ნაციონალიზმით», დამოუკიდებლობის სურვილით და მისწრაფებით.

აი ეს უნებლიეთი მოწმობა ჩვენი მტრის და მოწინააღმდეგის, ეს გულახდილი აღსარება, რომელიც არ იყო დანიშნული გამოსაქვეცნებლათ, არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, როგორც უტყუარი დამამტკიცებელი ქართველი ერის სულსკვეთების და საუკეთესო დამახასიათებელი კომუნისტთა მზაკვრულ ფარისევლობის და მათი საბოლოო გაკოტრების. ის ამით სწყვეტს ერთხელ და სამუდამოთ დავას ჩვენსა და მოსკოვს შორის, რასაკვირველია არა უკანასკნელის სასარგებლოთ.

აი ამიტომ ჩვენ გვსურს ეს საიდუმლო წერილი საჯაროთ გახდეს. აქ ჩვენ ვაცნობთ მას ქართველ მკითხველს. და მივიღებთ ზომებს, რომ ევროპის მკითხველსაც მივაწოდოთ ერთგულ შინაყმის გამქლავებულ ბატონის ოინები.



საქართველოში გუზაგონის შესახებ.

უკვე ცხრა თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლება დამკვიდრდა. ვადა სავსებით საკმაოა იმისათვის, რომ ერთგვარი ჯამი გაუკეთოთ ამ ხნის განმავლობაში წარმოებულ მუშაობას. სამწუხაროდ ამის გაკეთება აქ შეუძლებელი ხდება.

ამ მოხსენებაში მე მხოლოდ ორ მიზანს ვისახავ: 1) დავხატო ის პირობები და მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ მოგვიხდა მუშაობა საქართველოში დღიდან იქ საბჭოთა ძალა-უფლების დამყარებისა და 2) მივუთითო იმ ღონისძიებებზე, რომელნიც საშვალებას მოგვცემდა უფრო წარმატებით გვეწარმოებინა, როგორც პარტიული, ისე საბჭოთა აღმშენებლობა საქართველოში. უწინარეს ყოვლისა უნდა მივუთითო იმ გარემოებაზე, რომ 21 წლის დასაწყისში, ე. ი. საბჭოთა უფლების დამყარებისას, ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა საქართველოში მეტის მეტად უნუგეშო იყო, რაიც შედეგი იყო იმ ლეგალიზაციისა, რომელიც გამოცხადდა საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ მთავრობის შორის დადებულ ხელშეკრულების ძალით 1920 წ. 8 მაისს. ნამდვილათ კი ეს ლეგალიზაცია მენშევიკურ საქართველოში პირდაპირი პროვოკაცია შეიქმნა, სადაც ლეგალური არსებობა ყოვლად შეუძლებელი იყო. თავის თავად ცხადია, რომ ეს მეტად მცირე ლეგალური შესაძლებლობა მაქსიმალურათ უნდა გამოგვეყენებინა, რასაც ჩვენ კიდევაც ვშვრებოდით შეძლებისდაგვარათ, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არალეგალური აპარატის დატოვებაც. ამაზე მე ვუთითებდი ჯერ კიდევ ლეგალიზაციის დასაწყისში (დაახლოვებით 1920 წლის მაისის დამლევს) პირველსავე პარტიულ თათბირზე, რომელიც მაშინ მოწვეული იყო ჩვენი ნომინალური ტაქტიკის გამოსარკვევათ საქართველოში და მე მაშინვე ვაფრთხილებდი ამხანაგებს—არ გატაცებულიყვნენ მაინცდამაინც ლეგალური მუშაობით. სამწუხაროთ, ჩემი რჩევა მაშინ არ გაიგონეს, სოფიერთი ამხანაგი მეტად გაერთო ჩვენი პარტიის ცრუ ლეგალიზაციით და, მიუხედავათ კომინტერნის მეორე კონგრესის დადგენილებისა, რ. კ. პ. ც. კ. სპეციალურ დირექტივებისა—კომპარტიის მუშაობის შესახებ ბურჟუ-

აზიულ ქვეყნებში—მათ არას გზით არ უნდაოდათ არალეგალურ აპარატის ორგანიზაცია და მოითხოვდნენ მხოლოდ და მარტო ლეგალურ მუშაობას. სამწუხაროთ ჩემი წინასწარი მეტყველება ახდა გაცილებით ადრე, ვიდრე მე თვითონ ვფიქრობდი დადებული «ლეგალიზაციის» შესახებ და 6-7 თვის შემდგომ ჩვენი პარტიიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა. ამ რიგათ 1921 წ. დასაწყისში საქართველოს კომუნისტური პარტია სავსებით თავმოკვეთილი შეიქმნა და ამ თავმოკვეთაში ბრალი ჩვენ გვედება და განსაკუთრებით იმ ამხანაგებს, რომლებიც მაშინ უშუალოთ ხელმძღვანელობდნენ პარტიულ მუშაობას საქართველოში. მე კი კავბიუროს დადგენილებით 1920 წლის სექტემბრიდან გაწვეულ ვიცავ მისკოვში. და პირდაპირ გასაკვირალი და გასაოცარია, რომ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ამგვარათ განადგურების შემდეგ კავბიურო ვერ მიხვდა გავგზანა საქართველოში თუნდაც რაზდენიმე მუშაკი, რომლებიც მონახავდნენ ადგლობრივ გადარჩენილ იაჩეიკებს, შეაკავშირებდნენ მათ და მისცემდნენ სათანადო დირექტივებს, ამაზე არავინ ფიქრობდა და მოხდა ის, რომ როდესაც დაიწყო წითელი ჯარების შეტევა, ამ შეტევის მიზანსა და განძრახვანზე არც ერთმა იაჩეიკამ, წარმოდგინეთ პარტიის არც ერთმა წევრმა საქართველოში არაფერი არ იცოდა და იჭვიც კი არ ქონდა. ამიტომ ჩვენი ორგანიზაციების მხრივ, რამდენათ ისინი ჯერ კიდევ მიათრევდნენ თავის წუთი სოფელს, არავითარი გამაფრთხილებელი ზომის მიღება არ შეიძლებოდა. ცხადია ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაუადვილა მენშევიკებს, წითელ ჯარების შეტევისას, საბოლოოთ «გავესწორებიათ ანგარიში» აქა იქ კიდევ დარჩენილ ჩვენი ორგანიზაციებისათვის და დაეჭირათ არამც თუ კომუნისტები, არამედ ცოტათ თუ ბევრათ მათი თანამგრძნობნიც.

ამრიგათ მოხდა შემდეგი:

1. საქართველოში წითელის ჯარის შესვლამ და საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადებამ მიიღო აშკარა გარედან დაპყრობის ხასიათი, ვინაიდან შიგნით ამ დროს არავინ არც კი ფიქრობდა აჯანყების მოწყობაზე;
2. საბჭოთა ძალა-უფლების გამოცხადები-



სას საქართველოში არ აღმოჩნდა არც პარტიული იაჩეიკა, არც მეტი რომ არა ვსთქვათ პარტიის ცალკე წევრი, რომელსაც შეძლებოდა უფლების ორგანიზაციის მოწყობა, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს უმეტეს შემთხვევაში საეკვო, ან და პირდაპირ ბოროტ-მომკმედმა ელემენტებმა. აი სად არის ჩვენი პირველი შეცოდება, სად არის ბოროტების ფუძე და აი აქედან იწყება ყოველგვარი ჩვენი წაფორხილება საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

შეიძლებადა თუ არა ერთბაშათ აგვეშორებინა ყველა შეცდომა და დეფექტი და აგვეღოს სწორი გზები? აუცილებლათ შეიძლებადა, რომ იმ თავითვე მოგვეხერხებია საქართველოს ცენტრში მტკიცე და ერთიანი ძალა-უფლება. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებათა და სირთულეთა ეს მოხერხებოდა, მაგრამ შეუძლებელი შეიქმნა, რადგან იმ თავითვე რამოდენიმე ძალა უფლების ორგანო აღმოჩნდა: ერთის მხრივ ც. კ. და საქართველოს რევკომი, რომელნიც მხოლოდ ნომინალურათ ითვლებიან უზენაეს ორგანოთ; კავბიურო რ. კ. პ. და «რევოვენსოვეტი» 11 არმიისა, ფაქტიურათ ნამდვილი უზენაესი ორგანოები ძალა-უფლებისა. ეს უკანასკნელი უმეტეს ნაწილათ სწვევტენ საქართველოს შესახებ ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხებს, რასაკვირველია, ც. კ. და საქართველოს რევკომის დაუკითხავად.

ამასთანავე არ შემოძლია არ გავიხსენო ერთი გარემოება, რომლის შესახებაც ხშირათ ლაპარაკობენ, მაგრამ არც ერთი წევრი ორივე კავბიუროსი საქმით ანგარიშს არ უწევს. მე ვლაპარაკობ ქართველი ერის ზოგიერთი წრის ნაციონალურ მიდრეკილებაზე. უნდა ვაღიაროთ ის ფაქტი, რომ უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს მასები შეეჩვიენ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, თუმცა ცხადია დამოუკიდებლობა ედემურული და ფიქტიური იყო. უნდა გამოვტყდე, რომ ეს მოვლენა ჩემთვისაც პირდაპირ მოულოდნელი იყო და მისი ანგარიშის გაუწევლობა ყოვლად შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ ეს გარემოება ჯერ კიდევ ლენინმა განსჯვრიტა მოსკოვში, აქ ერთგვარი ლოლიკური დასკვნაც გააკეთა და ჩვენს წამოსვლისას სათანადო დირექტივები მოგვცა.

და მართალი უნდა ითქვას პირველ ხანებში ჩვენ თითქო სწორ პოზიციაზე ვიდქით, ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც: ჩვენ ყველანი ყველგან ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არას გზით არ სპობს დამოუკიდებელ საქართველოს, რომ წითელი არმია მოვიდა მხოლოდ მშრომელთა მასის გასანთავისუფლებლათ ანტანტის იმპერიალისტების ბრწყალებისაგან და სხვა და სხვა.

ბუნებრივათ იბადებოდა კითხვა, შეეძლებოდა თუ არ ჩვენ ამ პოზიციაზე შეჩერებას, თუნდაც სულ მცირე ხნით მაინც, და ამაზე ხომ ბევრი რამ იყო დამოკიდებული. მასების მოტეულიება პოლიტიკით ხომ შეუძლებელია და განსაკუთრებით ქართველი ხალხის, რომელიც ესოდენ გამოძწვარი და გამობრძმედილია პოლიტიკაში ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში.

საჭირო იყო ამ მასებისათვის გვეჩვენებინა, რომ ჩვენ მართლაც დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგევართ, რომ შეუძლებელი იყო სიტყვით დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი და საქმით მისი უარყოფა და მოსპობა. და ეს მით უნეტეს საჭირო იყო, რომ ყველა ჩვენი მტრები და უმთავრესათ მენშევიკები ჩვენ იმას გვაბრალეებდენ, რომ ბოლშევიკებს სურს საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა, საქართველო უნდა გადააქციონ რუსეთის უბრალო გუბერნიათ, როგორც ეს იყო ცარიზმის დროსაო. სამწუხაროდ ბევრი კომუნისტი ფიქრობდა და დღესაც ფიქრობს ეს ასე უნდა იქმნას დაუყოვნებლივ.

საჭირო იყო წავვერთოთ მტრისათვის ეს ჩვენი საწინააღმდეგო კოზირი. ამას მოითხოვდა საბჭოთა ძალა-უფლების ინტერესებიც. მართალია ეს იქნებოდა ჩვენის მხრივ ერთგვარი დათმობა მასების ნაციონალისტურ გრძობების მიმართ, მაგრამ დათმობა არა არსებითი და ამასთანავე ჩვენ დავემტარებოდით ერთის მხრივ კომინტერნის მეორე კონგრესის დირექტივებს და მეორე მხრით ლენინის დარიგებას, რომელიც მან ცალკე წერილათ გამოუგზავნა კავკასიის კომუნისტებს. ამ დათმობით ჩვენ ორ კურდღელს ვკლავდით. ჯერ ერთ ხელიდან ვგლეჯდით მთავარ კოზირს ჩვენს მტრებს მენშევიკებს და მეორე—გადმოვიბირებდით ჩვენს მხარეზე ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილს, უმთავრესად მემარცხენე სოციალისტ-დედერალისტებს და ქართველ ესერებს, რომლებიც

მენშევიკების დროს მემარცხენე ოპოზიციას წარმოადგენდენ, ხოლო საბჭოთა უფლების დამკვიდრების შემდეგ საჯაროთ აცხადებდენ, რომ სავსებით ვიზიარებთ საბჭოთა პლატფორმას და დიდი სიამოვნებით ვიმუშავებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ საქართველოს სახელმწიფო არ იქნება მოსკობილიო. და ამ ჯგუფებთან თანამშრომლობას ვი ქონდა და დღესაც აქვს არა მარტო მორალური მნიშვნელობა. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ამგვარი დაპირება მოსკოვის ნებართვით ჩვენ საზოგადოთ რანდენ-ჯერმე მივეციტ სიტყვით, მაგრამ საქმით არც ერთხელ არ ვავიმაართლებია ის. ჩვენ ვეუბნებოდით რომ ვაშენებთ არასავსებით, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ საბჭოთა სახელმწიფოს, შევექმნით ქართველ წითელ არმიას და სხვა და სხვა.

მაგრამ ჩვენ ვტოვებდით რა უყურადღებოთ ცენტრის ღირეტივებს, სისტემატიურათ თანდათან საქმით იმგვარ ნაბიჯებს ვდგამდით, რომ უარყოფდა ყოველ ჩვენს დანაპირებს. რკინის გზების და საგარეო ვაჭრობის გაერთიანება, რკინის გზების პროდუკეშირების ორგანიულათ შეერთება და სხვა და სხვა, მახდინეს მეტად სასწრაფოთ, მოუფიქრებლათ, მოუმზადებლათ ზევიდან საომარ ბრძანებათა წესით.

და ყველა ამ დონისძიებათა განხორცილება ვი შეიძლებოდა სხვა გზით გაუხმაურებლათ, ხელშეკრულებით წესით და სხვა. მხოლოდ შემდეგში დავიწყეთ ჩვენ კომპანია ზემოხსენებულ გაერთიანებათა საჭიროების შესახებ—ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის შენახვით—და ვფიქრობ, მგონი, ცოტათი განანელეთ ის უნდობლობა, რომელიც ხალხში ჩვენს მიმართ დაიბადა ყველა ამ დაწესებულებათა წყალობით.


მაგრამ სამაგიეროთ ჩვენ იძულებული ვიცავით მოვშორებოდით ჩვენს პირდაპირ საქმეს უშუალო მუშაობას პარტიულ და საბჭოთა აღმასწენებლობაში, რათა დავგვეპრო და მიგვეკედლებია მუშა-გლეხური მასები და დავვეჩქარებია არჩენები საბჭოებში და მოგვეწვია თვით საბჭოთა ყრილობა.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ მონელებული არ გვქონდა ზემოხსენებული ამბები, რომ კავებიურომ სრულიად მოულოდნელათ ახალი სიურ-

პრიზების წინაშე დაგვეყენა. ვგულისხმობ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას და საქართველოს წითელი ლაშქრის მოსკობას. და კავებიუროს ეს დადგენილება იმგვარადვე ტარდება ცხოვრებაში საომარ ბრძანებათა სახით, და არავითარი წინასწარი მსჯელობა პარტიულ ორგანიზაციებში არ ხდება.

ავიღოთ პირველად ამიერ-კავკასიის ფედერაცია. დამახასიათებელია რომ კავებიუროს დადგენილება ამ საკითხის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ ორგანოში («პრავდა გრუზია») დაბეჭდილი პირდაპირ მოულოდნელი იყო თვით ც. კ.-სთვის. აქედან ცხადია, რომ კავებიურო სრულიად საჭიროთ არ სთვლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხში, როგორცაა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ანგარიში გაუწიოს თითოეულ რესპუბლიკის ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა აზრს და ეს ვი არც მეტი და არც ნაკლები ამ ორგანოების ავტორიტეტის ძირის გამოცლაა, დაცემა ხალხის თვალში.

ახლა არსებითად არაფელი გვაქვს ჩვენ საწინააღმდეგო მათი სრულიად, ორგანიულათ რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ საკითხავია: საჭიროა და სასარგებლო ეს ფორმალური გაერთიანება და ისიც ზევიდან ძალდატანებული მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არ დავახლოვებივართ მასებს, როდესაც ჯერ კიდევ ვერ მოგვისწრია საბჭოების მოწვევა. მე ვაცხადებ რომ ამ გვარი ზევიდან ნაკარნახევი გაერთიანება არამც თუ რამეს მოგვეცემს, ის კიდევ უფრო მოგვაშორებს ხალხს, ის კიდევ უფრო დაამძიმებს და გაართულებს მთელს ჩვენს მუშაობას საბჭოების მოწვევის საქმეში და ხელს შეუწყობს კიდევ ახალ პროვოკაციას ბოლშევიკებისა და საზოგადოთ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ფედერაცია ამგვარ პირობებში ნიშნავს ერთი კიდევ ახალის წედმეტი ბიუროკრატიული აპარატის წამოსკუპებას, ხალხისიგან სრულებით მოწყვეტილს და მეტად არაკომპულიარულს. რასაკვირველია სულ სხვა იქნებოდა, რომ საქართველოსა და სომხეთში შედგენილი ყოფილიყოს საბჭოები და ეს ფედერატიული გაერთიანება გატარებულყოს საქართველო, სომხეთსა და აზერბეიჯანის აღმასრულებელ კომიტეტებში. დიახ მაშინ სულ სხვა იქნებოდა: მაშინ ჩვენ მოვიპტრობდით ნამდვილს და მტკიცედ გაერთიანებულს, მასებზე



დამკვიდრებულს საბჭოთა რესპუბლიკებს. და ეს არ იქნებოდა წინ გახტომა, მოვლენის დასწრება, რომელიც სრულიად უადგილო იყო დღევანდელს პირობებში. მაგრამ ამ რესპუბლიკათა ნამდვილი გაერთიანება, როგორც ერთმანეთთან, აგრეთვე რუსეთთან ხომ სხვა გზითაც შეიძლება, გაცილებით უფრო მისაღები და მიზანშეწონილი გზით. მე ვლავარაკობ თავისუფალ შეთანხმებაზე, სამეურნეო პირობათა გაერთიანებაზე ხელშეკრულებათა, კონვენციათა საფუძველზე, რაზედაც ჯერ კიდევ სტალინი მიგვითითებდა თავის მოხსენებაში, რომელიც მან პარტიულ კრებაზე გააკეთა თფილისში ყოფნის დროს.

იმ დირექტივების მიხედვით, რომელიც რ. კ. პ. მე 10 ყრილობის დადგენილებისაგან გამომდინარეობს, ჩემი ინიციატივით უკვე დადებულია რამდენიმე ხელშეკრულება რუსეთისა და საქართველოს მიწათ-მოქმედებათა კომისარიატებს შორის; რომლის ძალითაც თითქმის სავსებით გაერთიანებულია ამ კომისარიატების სამეურნეო ხარჯები მათი ფორმალურათ ერთის მეორესადმი დაუმორჩილებლათ. და სწორეთ ეს არის არა მყვირალა საქმიანი გაერთიანება, რომელიც ხმას აკმედინებს ცველა ჩვენს მოწინააღმდეგეს და არ აძლევს მათ საშვალებას გასწიონ ჩვენს წინააღმდეგ რაიმე პროვოკაცია. მეორეს მხრით, სიმართლე რომ ვსთქვათ, ნუ თუ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები არსებითად უკვე გაერთიანებული არ არიან, ნუ თუ ისინი განკერძოვებული არსებობენ, ნუ თუ ნამდვილად იმდენათ დამოუკიდებელნი არიან, რომ სულმოუთმენლად საქირთა გაერთიანება, თორემ ყველაფერი დაიდუქება?! თავის თავად ცხადია, რომ არასფელი ამისთანა არ არის და მხოლოდ გამოუსწორებელ დონ-კიხოტებს ეჩვენება ეს. აიღეთ თუ გნებავთ კავბიურო, მისი წრეს გადაჭარბებული ოპეკუნობა, აიღეთ ოკა, და ერის რა დამოუკიდებელ, განკერძოებულ არსებობაზე შეიძლება კიდევ ვლავარაკი!.. ნუ თუ ეს სასაცილო არ არის. ჩვენ ვლავარაკობთ მხოლოდ განსაზღვრულ ფაქტის დაცვაზე, სიფრთხილზე, ვინაიდან ჩვენ აღცა შემორტყმული ვართ, ყოველის მხრიდან ბლოკადა გვაქვს გამოცხადებული და ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, ყოველი მოუფიქრებელი გამოსვლა საშინლათ დაგვეცემს ხალხის თვალში.

და კავბიუროს დადგენილება კი ამიერ-კავკასიის ფედერაციის სასწრაფოთ ცხოვრებაში გატარების შესახებ ძირიანათ ეწინააღმდეგება ჩვენს ტაქტიკას, რომელიც მეტად ფრთხილი და მოქნილი უნდა იყოს, რომ არ მივსცეთ პროვოკაციის მასალა ჩვენს მოწინააღმდეგებს. ამასთანავე ეს დადგენილება არამც თუ ასუსტებს ნაციონალისტურ მისწრაფებას, არამედ აღვივებს და ამაგრებს მას.

ამგვარი და შეიძლება კიდევ უარესი უარყოფითი მნიშვნელობა ქონდეს კავბიუროს მეორე დადგენილებას საქართველოს წითელი ჯარის გაუქმების შესახებ. ამ დადგენილებით კავბიურომ ნათლად დაამტკიცა, რომ იგი არამც თუ არ უწევს ანგარიშს ადგილობრივ პირობებს და საქართველოში შექმნილ მდგომარეობას, არამედ საზოგადოთ ცოტა უსურადლებას აძლევს რ. კ. კ. კ. და ამხ. ლენინის სპეციალურ რჩევა-დარიგებას, რომელიც ჯერ კიდევ დიდი ხანია არ არის მას შემდგომ რომ ურჩევდა საქართველოს კომუნისტებს რაც უშეიძლება საჩქაროდ შექმნით წითელი ჯარიო.

კავბიუროს აღნიშნული დადგენილება, რომელიც მოხდა საქართველოს ცეკას და რევკომის დაუკითხავათ, მის ორგანოებში წინასწარ განუხილველათ მთლიანათ სპობს ცველა ჩვენს პლანებს და საქმიანობას და ამავე დროს პირდაპირ ეწინააღმდეგება ცენტრის ცველა დირექტივებს.

ახლა ვიკითხოთ, ვის და რას შეუშლიდა ქართული წითელი ლაშქრის ცალკე, ფორმალური არსებობა საოპერაციო მხრით ისედაც სავსებით და მთლიანათ ოკაზე დამორჩილებული. აბსოლიუტიურათ არავის და არაფელში. ორგანიზაციულათ მისი არსებობა მხოლოდ მის შექმნას გაგვიადვილებდა. მორჩა და გათავდა. მართალია ელიავამ, რომელიც იმთავითვე დაყენებულ იქმნა სამხედრო და საზღვაო კომისარიატის სათავეში უადრესათ პასუხსაგებ საქმეში სრული სიკოტრე გამოიჩინა, როგორც ესლა შეუტყვევლი საბუთებით ირკვევა. შეკრებილია მისი მოადგილის ამხ. აღნიაშვილის და აგრეთვე საქართველოს კომპარტიის მიერ დანიშნული საგანგებო სარევიზიო კომისიის მიერ დიდ-ძალი საბუთები. ელიავამ ყოველი საშვალეებით ჩაიგდო ხელში, რაც იყო ძვირფასისა-ქართველოში. გაფლანგა ათეული და ასეული



მილიარდები და ნაცვლად წითელი ჯარისა, ცოფილ კონტრ-რევოლიუციონერ ოფიცერთაგან, თავადთა და აზნაურთაგან შექმნა ბანდიტების და სპეკულიანტების ნამდვილი შაიკა, რომელსაც ეხლა ამხ. აღნაშვილი ათეულებითა და ასეულობით იჭერს და ხვრეტს.

ბოლოს, როდესაც ელიავა მიხვდა, რომ მისი სიკოტრე, უკეთ მისი ბოროტმოქმედება, ქართული წითელი ჯარის შექმნაში უკვე გამოაშკარავებულია, თავი რომ გადაეჩინა პასუხისგებისაგან და სასამართლოსაგან მეტად არაჩვეულებრივი, არამოხერხებული ნაბიჯი გადადგა: თავის ბოროტმოქმედების დასაფარავათ მან წინადადება მისცა კავშიურს გაეუქმებია ქართველი წითელი ჯარი და შეერთებია იგი ორგანიულათ რუსულ არმიასთან. ოკამ და კავშიურს მის მაგიერ, რომ ელიავა პასუხისგებაში მიეცა, დიდი ყურადღებით და მადლობით მიიღო მისი წინადადება. ამავე დროს კი ქართული წითელი ჯარის შექმნა ყოველ მიზეზს გარეშე შეიძლებოდა. მე კატეგორიულათ ვამტკიცებ, რომ ელიავას ნაცვლად ვინმე სხვა ამხანაგი ყოფილიყო, სავსებით უბრალო, მაგრამ პატიოსანი, წითელი არმიის მნიშვნელობის შემგნებში მუშა წითელი ჯარი აუცილებლათ გვეყოლებოდა, ვინაიდან სამისო ყველაფერი გვექონდა: ცოცხალი მასალა და პატარა ლაშქრისთვის საჭირო ქონება, აგრე ბოროტათ გაფლანგული. მე ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლისას დავინახე და ვიგრძენი, რომ ელიავა საქართველოს წითელ ჯარს ვერ შექმნიდა, რომ ის ჩვენ დაგვლუპავდა და ეს აზრი მას ამხანაგურათ კიდევ გავუზიარე, მეგობრული დარიგება მივეცი, რომ შეცდომები აეცდინა, მაგრამ ყველაფერი ფუჭი შეიქმნა. მე კი უძლური ვიყავი რაიმე რადიკალური ზომა მიმეღო, მაგ., გადამეყენებია ელიავა, რადგანაც ის ჩვენ დაუკითხავათ იყო დანიშნული. ეს კიდევ ცოტაა. ელიავამ გაბედა და ანას გარდა საგარეო კომისარობაც იკისრა. ამ ადგილზე ის ითვლებოდა ამხ. მდივანის ჩამოსვლამდე. ამ დარგში მისი მუშაობის შესახებ აქ წედმეტია ვილაპარაკოთ.

მე აუცილებლათ მიმაჩნია აგრეთვე ხაზი გაუსვა შემდეგ გარემოებას. მოსკოვის პოლიტიკა ამიერ-კავკასიის სამი რესპუბლიკის, კერძოთ საქართველოს მიმართ, მე მესმოდა და მესმის

ასე: მეტის მეტად ფრთხილი ტაქტიკით უნდა მიღწეულ იქმნას სრული სულიერი და ეკონომიური გაერთიანება. ისე, რომ ამ რესპუბლიკებს შერჩეთ გარეგნული ფორმალური დამოუკიდებლობა. ამ მიზნით პირველ ცოვლისა უნდა ვეცადოთ ამ რესპუბლიკის მუშები და გლეხები ვაზიაროთ საბჭოთა ხელისუფლების პრინციპებს, ჩავითრიოთ ხალხის ფართო მასები მუშურ-გლეხურ აღმშენებლობაში და სხ. როცა კარგათ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ბურჟუაზიულ მთავრობების არსებობის დროს ხალხის მასები საკმაოთ მოიწამლა ნაციონალიზმის და შოვინიზმის წხამით, უნდა ძალიან ფრთხილად მივუდგეთ ამ მასებს, ერთხელ და სამუდამოთ ხელი უნდა ავიღოთ ბძოლის ისეთ წესებსა და საშვალეებზე, რომელსაც ცარიზმი (თვითმყრობელობა) ხმარობდა, რომ მასები არ ჩამოვიცილოთ და პირიქით გონიერი და ფრთხილი პოლიტიკით მოვიზიდოთ ჩვენსკენ. ამავე დროს, რასაკვირველია, ნაციონალისტურ გრძნობების გამწვავების საბაბიც არ უნდა მივსცეთ. ასეთი პოლიტიკა გვავალეებს ყოველგან და ყოველთვის ანგარიში გაეუწიოთ ადგილობრივ პირობებს და ხანდისხან ნაციონალისტურ ინტელიგენციას ცოტა რამ დაუთმოთ, რომ გამოვიყენოთ ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების ინტერესების მიხედვით. ასეთია გზა, ასეთია საშვალეები, რაც შეგვაძლებინებს ადრე მოულოთ ბოლო ნაციონალისტურ ცრუმორწმუნობებს, მოვსპოთ ეროვნებათა შორის უნდობლობა და სხ. მე ვფიქრობ, საერთოდ ასეთია პოლიტიკა რ. ს. ს. ფ. რ., კომინტერნის და კომუნისტურ პარტიის წვრილ ერების მიმართ დღევანდელ ისტორიულ მომენტში, იმ წვრილ ერების, რომლებიც წინათ და ეხლაც იჩაგრებიან დიდი სახელმწიფოების მიერ. შესაძლებლობის და ჩემი საკუთარ ძალ-ღონის ფარგლებში მე ვცდილობდი გამეტარებინა სწორედ ასეთი პოლიტიკა საქართველოში არა შიშით, არამედ სინდისის ქვეშ. ურყველი ფაქტია, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტურ პარტიებში არის ამხანაგების ჯგუფები, რომელნიც ნაციონალიზმისაკენ იხრებიან. ამასთანავე მე უნდა აღვნიშნო, რომ მისი კავშიურა, რომ არც წინანდელი და არც ახლანდელი შემადგენლობის არ დგას ამ მხრივ თავის მდგომარეობის სიმალღზე: სიტყვით



კავშირით არის რ. კ. პ. ც. კ. პოლიტიკის გამტარებელი კავკასიაში, საქმით კი მუდამ იჩენდა რყევას და ერთი უკიდურესიდან მეორეში ვარდებოდა. კავშირის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებში არ სჩანს ის ფრთხილი ტაქტიკა და ის სწორი მიდგომა ადგილობრივ ხასიათის მეტად მწვავე და საჭუჭმანო საკითხებისადმი, რის შესახებაც მე ზემოთ ვლაპარაკობდი: ერთი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციისა და მეორე საქართველოს წითელი ჯარის მოსპობის შესახებ. მართლაც საქირო აქვე აღინიშნოს, რომ კავშირის შემადგენლობაში არიან ისეთი ამხანაგები, რომელნიც არც ეხლა სცნობენ რესპუბლიკების ფორმალურად დამოუკიდებელ არსებობას და სთვლიან მათ რ. ს. ფ. ს. რ. გუბერნიებათ. არ შეიძლება სიჩუმით ჩაუვარო აგრეთვე რ. კ. პ. ც. კ. წევრის ამხ. ორჯონიკიძის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა საქართველოს რ. კ. პ. ც. კ. სხდომაზე 1921 წელს 15 ნოემბერს ბათუმის პორტის საკითხის განხილვის დროს საქართველოს ცეკას წევრებისა და სხ. ადგილობრივ ამხანაგების მიმართ. მან ასეთი კატეგორიული განცხადება გააკეთა: «ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, რომ მოსკოვი თქვენ არ გენდობა.» რას ნიშნავს ეს? თუ კომუნისტი კომუნისტს არ ენდობა, მაშინ ორში ერთი: ან ერთი მათგანი არ არის კომუნისტი, ან და არიან კომუნისტები უმაღლესი ხარისხის და კომუნისტები დაბალი ხარისხის. და ამ დაბალი ხარისხის კომუნისტებს ეკუთვნიან ალბათ ადგილობრივი კომუნისტები ქართველები, სომხები და სხ., რომელთა ნდობა არ შეიძლება. მე ღრმათა ვარ დარწმუნებული რომ მოსკოვი ამას ასე არ უყურებს, მაგრამ ადგილობრივი ამხანაგები ამას ვერ ხედავენ, ამასია ჩვენი უბედურება. პირიქით ძალიან ხშირათ ისეთი ამხანაგები, რომელიც გამოიჩინეს ინიციატივას, საქმისადმი ინტერესს, მოიქცევა არაშაბლონურად, არამედ ადგილობრივ პირობებს ანგარიშს გაუწევს, უნდა ელოდეს, რომ მას ჩარიცხვენ ნაციონალისტად და უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ორივე კავშირის წევრები ძალიან ხშირათ მიმართავენ ასეთ ხერხს ქართველ ამხანაგების შესაშინებლად, როცა კოლონიზატორულ მიდრეკილებას ხელს უწყობენ კიდევ. ამ რიგათ ჩვენს წინაშე დგას მეტად სერიოზული და მნიშვნელოვანი

საკითხი: ჩვენში ატმოსფერა მეტის მეტად გუკუმშულია, საქიროა ამის გაფანტვა და გაჯანსაღება. საქიროა უფრო ნორმალურ დამოკიდებულების დაწესება ცენტრსა და პერიფერიებს შორის, საქიროა მტკიცე და ნათელი დირექტივები, რომ ადგილობრივთ პასუხისმგებელმა ამხანაგებმა იცოდნენ რა არის უახლოესი დავალება და მიზანი ცენტრისა. მაგრამ ესეც არ კმარა, ისინი უნდა იცნობდნენ ცენტრის ტაქტიკას და რაც უმთავრესია—ცენტრი სავსებით უნდა ენდობოდეს ადგილობრივ კომუნისტებს.

კონკრეტულად ჩემის აზრით, აუცილებელია ეხლა შემდეგი ზომების მიღება:

1. ცენტრმა უნდა შეიმუშავოს სწორი და გარკვეული ტაქტიკური ხაზი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიმართ, რომ შემთხვევით და ცალკე ამხანაგების სურვილით არ იცოს შესაძლებელი მისი შეცვლა. საქიროა გამოირკვეს: მიზანშეწონილია თუ არა ამ მოკლე ხანში მათი (რესპუბლიკების) შენახვა, თუ აუცილებელია დაუფრენებლივ მათი ლიკვიდაცია. ჩემის აზრით, და ეს არის აზრი საქართველოს კომპარტიის წევრთა დიდი უმრავლესობისა, გარეშე და შინაური პოლიტიკის მოსაზრებით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შენახვა ჯერჯერობით საქირო არის.

2. უნდა შეჩერდეს კავშირის მეტად ბუნდოვანი დადგენილება—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შესახებ, სანამ საქართველოს და სომხეთის საბჭოები არ მოწყობილა და ფედერატიულ გაერთიანების გატარება ცენტრალურ ისპოლკომების საშუალებით არ მომხდარა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნება ერთ ბიუროკრატიული აპარატი მეტი, და არავითარი ნდობა მასში.

3. უნდა შეჩერდეს კავშირის დადგენილება საქართველოს წითელი არმიის მოსპობის შესახებ, მოიხსნას ელიავა სამხედრო კომისრობიდან და მიეცეს სამართალში.

4. უნდა მიეცეს სპეციალური დირექტივები საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ცეკებს რუსეთის კომპარტიის მე 10 ცრილობის დადგენილებათა გატარების შესახებ, როგორცაა: ა) დანიშნის სისტემის უარყოფა და არჩევნების წესზე გადასვლა, ბ) სამხედრო კომუნისტების დროის მეთოდებისა და ჩვეულებათა

F1294/L  
1929  
საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტრო

უნარყოფა, ე. ი. წმინდა პარტიულ და საბჭო-  
თს საქმეებში ბრძანებების მოსპობა, გ) პასუ-  
ხისმგებელ პარტიულ მომუშავეთა სავალდებუ-  
ლო კრებებზე წინასწარ საკითხების გარჩევა,  
დისკუსია პარტიის ფარგლებში და კრიტიკის  
სრული თავისუფლების მინიჭება იმ საკითხებ-  
ზე, რომელთა შესახებ ყველასათვის სავალდებუ-  
ლო დადგენილება არ გამოტანილა.

5. კავკასიაში, განსაკუთრებით ამიერ-კავკა-  
სიაში, ჩვენ საქმე გვაქვს უკიდურეს თავისებურე-  
ბასთან, მეტის მეტად რთულ პირობებთან, ამი-  
ტომ საჭიროა რ. კ. პ. კ. კავბიურთ შეიქ-  
მნეს მოსაშვალე და მომწონსრიგებელ ორგანოთ  
კავკასიაში; საჭიროა მან გამოიჩინოს უდიდესი  
სიფრთხილე ყველა მნიშვნელოვან ადგილო-  
ბრივ ხასიათის საკითხების გადაწყვეტის დროს.  
ამასთანავე ადგილობრივ ცუკას უთანხმოების  
დროს უნდა ქონდეს უკლება მიმართოს აპელ-  
აციით, როგორც რუსეთის კომუნისტურ პარ-  
ტიის ცუკას, ისე ყრილობასაც. სასურველია,  
რომ კავბიურთ, რომელიც მომავალში აუცი-  
ლებლათ არჩეულ უნდა იქნეს, უფლება და მო-  
ვალეობანი სავსებით გამოიჩინოს.

6. საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯან-  
ის ცუკებს და რეკომებს ადგილობრივ ხასია-  
თის საკითხებში მიეცეს სრული დამოუკიდებ-  
ლობა.

7. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ურთი-  
ერთ-შორის და რუსეთის ს. ს. ფ. რ. ეკონო-  
მიური გაერთიანება შესაძლებელია დაუყონებ-  
ლივ და უმტკივნელოთ გატარდეს იმ გზით,  
რომ გაერთიანდეს ეკონომიური მოქმედება

კალ-ცალკე რესპუბლიკების ნარკომატების ხე-  
ლშეკრულების ან კონფენციის საფუძველზე, რა-  
ზედაც, სხვათა შორის, მიგვითითებდა ანხ.  
სტალინიც. ასეთი საქმიანი ხელშეკრულებანი  
უფრო ჩქარა მოუმზადებენ ნიადაგს ამ რესპუბ-  
ლიკების სავსებით და მტკიცეთ გაერთიანებას.  
ასეთი ხელშეკრულების ნიმუშათ გამოდგება ამ  
ახლო ხანში დადებული ხელშეკრულება რუსე-  
თის და საქართველოს მიწათ-მომქმედების კო-  
მისარიატების მიერ. ასეთი ხელშეკრულების  
დადება შეიძლება დანარჩენ ეკონომიურ ორგა-  
ნოთა შორის. რაც შეეხება სამხედრო ძალების  
გაერთიანებას ეს უკვე ფაქტიურათ განხორცი-  
ელებულია ამ რესპუბლიკებში საბჭოთა ხელის-  
უფლების დამყარების დღიდან, — სხვაწაირათ  
არც შეიძლებოდა. სხვა ზომებს მე აქ არ ვა-  
სახელებ.

მე ვგრძნობ და მესმის რომ ეხლანდელ ხელ-  
მძღვანელ ორგანო—კავბიურთ—ტაქტიკა აუ-  
ცილებლათ უნდა შეეცვალოს, თუ გვინდა მა-  
სების ნდობა დავიმსახუროთ, თუ გვინდა საბ-  
ჭოთა ხელისუფლებისაკენ ისინი მოვიზიდოთ.  
ეხლა კი ჩვენ პირიქით ჩვენს გარშემო ყველას  
ხელს ვკრავთ, ძალიან დიდი წარმოდგენა გვაქვს  
ჩვენ ძალებზე და ვერ ვფასებთ მოწინააღმდე-  
გეთა ძალას.

ფილიპე მახარაძე.

მოსკოვი, 6 დეკემბერი 1921 წ.

(ასლი გადაღებულია იმ მოხსენებიდან, რო-  
მელიც ინახება რუსეთის კომ. პარტიის ცენტ.  
კომიტეტში).

ინტერნაციონალური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბერში მოსკოვში გახლართული კონფერენციის მსახიობი ფილიპე მახარაძის მიერ მოხსენების ასლი. აღნიშნული მოხსენების თანახმად, მახარაძე მხარდობდა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების გაერთიანებას რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელშეწყობით. აღნიშნული მოხსენების თანახმად, მახარაძე მხარდობდა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების გაერთიანებას რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელშეწყობით.